



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

M A R S

1934—№ 99

მ ა რ ტ ი

1934 წ.

№ 99

დასავლეთის დამოუკიდებელი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ დ ს ბ ე ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ დ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—მოსკოვი და ენევა.
ბ. არიძე—ციფრომანია.
სან. მენ.—კავკასია და მეზობლები.
ბ. ა.—პაქტების ძებნაში.
უცხოეთის მიმოხილვა.
ნაური—წერილი ამერიკიდან.

განი—ქართული კონცერტები ნანსში.
უკრაინელთა შორის.
სხვადასხვა ამბები.
დ.—ქართველი დედის ბედი.
ს. ასათიანი—მოწოდება.
ან. ყაღვლეიანი—მივეშველოთ! და სხვ.

მ ო ს კ ო ვ ი ღ ა შ ე ნ ე ვ ა

მოსკოვის უარყოფითი პოზიცია ენევის მიმართ ცნობილია. ის მუდამ თავს ესხმოდა ერთა ლიგას, შექმნილს მის მიერ ათვალისწინებულ ვერსალის ზავით, გამარჯვებულ დიდ სახელმწიფოთა ჰეგემონიის გასახანგრძლივებლათ. ესეც ცოტაა, მოსკოვი ერთა ლიგაში ხედავდა ისეთ საერთაშორისო კრებულს, სადაც თითქმის ითხზებოდა სხვადასხვა კომბინაციები და თვით შეთქმულობანი მის წინააღმდეგ. ამას არ შეუშლია, რა თქმა უნდა, მისთვის ხელი მოწაწილება მიეღო ერთა ლიგის მიერ მოწვეულ საერთაშორისო ეკონომიურ და განიარაღების კონფერენციებზედ, ელადანა იქ კაპიტალიზმის და კომუნისმის თანამშრომლობაზე, წარედგინა მაქსიმალისტური პროექტები და სხ. მაგრამ პირველი და უმთავრესი რაც მოსკოვს ამოძრავებდა ამ შემთხვევებში, იყო ენევის ტრიბუნის გამოყენება თავის იდეების გასავრცელებლათ, კაპიტალიზმის ციხე-სიმაგრის შიგნიდან ასაფეთქებლათ.

გავიდა წლები, შეიცვალა საერთაშორისო ვითარება და მოსკოვიც თითქმის სტოვეს თავის ჩვეულებრივ ტაქტიკას. ამან განსაკუთრებით თავი იჩინა შარშან, როცა მოსკოვის დელეგაცია გვერდში ამოუდგა საფრანგეთის დელეგაციას განიარაღების კითხვაში. მისი ოფიციალური პუბლიცისტი რადეკი, რომლისათვის აზრის გამოცვლა უფრო ადვილია, ვინემ ხელთათმანის, სწერს ვერსალის ზავის უცვლელობაზე, ომის წინააღმდეგ. წავიდა ის დრო, როცა

იგივე რადეკი საიდუმლო მისისას ასრულებდა ბერლინში რუსეთ გერმანიის კოალიციის შესადგენათ საფრანგეთის წინააღმდეგ. თუ წინეთ, მაშასადამე მოსკოვი მხარს უმშვენივდა ენევაში ბერლინს, შარშან ზურგი შეაქცია მას და პარიზს მიეკედლა. ეს არ მოწმობს, რა თქმა უნდა, მოსკოვის დამოუკიდებლობას, საბჭოთა კავშირის დიდი სახელმწიფოს როლში გამოსვლას.

მაგრამ ეს წუთიც თითქმის ახლოვდება, მოსკოვი აპირებს ერთა ლიგაში შესვლას, როგორც დიდი სახელმწიფო, და აქედან ხელმძღვანელ როლის თამაშს. იქიდან გავიდნენ იაპონია და გერმანია, ორივე მტრულათ განწყობილნი მისდამი, მაშ ცხადია, მოსკოვის ადგილი სწორეთ ესლა ერთა ლიგაში უნდა იყოს. სტალინი ერთ ინტერვიუში უკვე ამქადავნებს ნამდვილ სარჩულს: ერთა ლიგა უძლურია—ამბობს ის—, მაგრამ, თუ ის ერთი ბეწოთ მაინც აგვაცდენს ომს, ჩვენი კეთილგანწყობილება მის მიმართ უდაოაო. მაშასადამე, ომი და კიდევ ომი—აი რა ელანდება მას დღე-მუდამ, და მისგან თავის დასაღწევათ ის მზათაათა თავი შეაფაროს ერთა ლიგას.

როგორია ამ უკანასკნელის სულისკვეთება? პასუხი თითქმის თავის-თავათ აშკარაა. ერთა ლიგა ჯერ კიდევ თავიდანვე იჩენდა ლმობიერებას საბჭოთა კავშირის მიმართ. უნდა ითქვას, ენევა ყოველთვის დიდ მზრუნველობას იჩენდა მოსკოვის დასაინტერესებლათ ენევაში დასმულ კითხვებით, მოპატიყება

მუდამ მისგან გამოდიოდა, ე. ი. ის იყო და არის ინიციატორი. ერთა ლიგის ერთი უმთავრესი განყოფილება—შრომის საერთაშორისო ბიურო—განუწყვეტლივ კრებდა ცნობებს საბჭოთა ეკონომიურ საქმიანობაზე, ადგენდა წარმოების და შრომის სტატისტიკას, ხშირათ შემცდარს, და მით გზას უკაფავდა მოსკოვს ენევისკენ. იაპონია და გერმანიის წასვლის შემდეგ საბჭოთა კავშირის მონადირება თითქო ერთა ლიგის უსაქიროეს ამოცანად იქცა.

არავისთვისაა საიდუმლო, რომ ენევის საერთაშორისო ინსტიტუტი ამ ეამად დიდ კრიზის განიცდის. გაჰქრა იმედები, ენტუზიზმი, რომლითაც მას შესტკეროდა მასვრალი კაცობრიობა. თუ ერთ დროს ომის და ზავის უზენაეს არბიტრად ერთა ლიგა მიანდა ყველას, დღეს ეს კითხვები მის გარეთ წყდება საგარეო სამინისტროებში და ვილსონის ნაქები ღია დიპლომატია ტრადიციულ საიდუმლო ადათებს დაუბრუნდა. გულის ატრუება და ერთგვარი დაცინვაც ენევაზე იქამდის მიდის, რომ ერთნი ზედმეტ ბარგად აცხადებენ მას, ხოლო მეორენი, უფრო მოხერხებულნი, სადეკორაციოთ იყენებენ მას. არის დასმული კითხვა გადასინჯვისა, ერთა ლიგის პაქტის რევიზიისა.

შემცდარია, რა თქმა უნდა, ის აზრი, თითქო ამის უმთავრესი მიზეზი თვით ერთა ლიგა იყოს. ივიწყებენ, რომ ის არის მარტორდენ კრებული მთავრობათა წარმომადგენლების და გადაწყვეტილებათა მიღება პოლიტიკურ საქითხებზე მხოლოდ ერთხმათ შეუძლია მას. მაშასადამე, საკმარისია ერთმა რომელიმე მთავრობამ წინააღუდგეს, ის უღონა რაიმე გადაწყვეტილება მიიღოს. მას არა ჰყავს სახედრო ძალა და არც სხვა რამე საშუალება თავისი გაიყვანოს. ამ პირობებში ყველასათვის თვალსაჩინოა დიდი სახელმწიფოების პრივილეგიური მდგომარეობა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ყველაფერი დამოკიდებულია მათ თანხმობაზე.

ეს კი არ იყო თავიდანვე და დღეს ხომ დიდი სახელმწიფოები ისე დამორებული არიან ერთმანეთისგან, როგორც არასდროს დიდი ომის შემდეგ. განიარაღების კითხვა, მაგ., სტატუტით ერთა ლიგის უწყებაში შედის, ფაქტიურათ ის რაღმე სულაც კი გამოაცალეს მას და დიდი სახელმწიფოები ცდილობენ მის დიპლომატიურათ მოგვარებას. აქ დგება სწორეთ საბჭოთა კითხვაც. საფრანგეთი, რომელიც ასე სისტემატიურათ იცავდა ერთა ლიგის იურისდიქციას განიარაღების კითხვაში, დიდი მომხრე იყო მოსკოვის შესვლის ერთა ლიგაში, იმ მოსკოვის, რომლის დელეგატები ასე მოხერხებულათ ეხმატ-

კბილებოდენ პარიზის დელეგატებს. ჩვენ არ ვიცით, როგორი იქნება დუმერგის მთავრობის პოზიცია ამ კითხვაში, ერთი კი ამ თავითვე ცხადია: თუ განიარაღების კითხვა პაერში დარჩა გამოკიდული და მით კონფერენციაც ჩაკვდა—ის უკვე სულს დაფავს—, მაშინ მამოძრავებელი მოტივიც გაჰქრება საფრანგეთისთვის და არ იქნება ისე დაინტერესებული საბჭოთა ლიგაში მიზიდვით.

მაგრამ ეს კითხვა ხომ თვით მოსკოვსაც შეუძლია დააყენოს დამოუკიდებლათ და, როგორც ზევით დავინახეთ, ენევაში ძლიერ ხელსაყრელი პირობებია მის დადებითათ გადაჭრისთვის, რაა საკირო ერთა ლიგის წევრად გახდომისთვის? პაქტის მეორე მუხლი ამბობს, რომ ყოველ თავისუფალ სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ლიგის წევრი, «თუ იძლევა ნამდვილ გარანტიას თავის გულწრფელ განზრახვისა შესრულოს მისი საერთაშორისო ვალდებულებანი»-ო. როგორ გგონიათ, რამდენათ შეეფერება «ნამდვილი გარანტია, გულწრფელი განზრახვა» კრემლის ვაჟბატონებს?! როგორც წყალწაღებული ხავს მოეკიდება, ისე უეყველათ სტალინი, ომის შიშით, ლიგას ჩააფრინდება და ამისათვის ნეფისს ყურწივც გაძვრება, რომ უმანკო კრავად მოაჩვენოს ქვეყნიერებას თავი, დაუმტკიცოს ყველას თავისი «გულწრფელობა» და გასცეს «ნამდვილი გარანტიის» თამასუქები. თავიდანვე გამორიცხულია, რომ ეს ვინმემ დაიჯეროს, მაგრამ, საუბედუროთ, პოლიტიკაში ხშირათ იჯერებენ რაშიდაც დაინტერესებული არიან.

და აი აქ მართლაც შეიძლება მოხდეს ერთა ლიგის სახელის საბოლოოთ გატეხვა. მოსკოვს ბევრი თამასუქები გაუცია და არც ერთი არ შეუსრულებია პირნათლათ. ეს არც ეგუება ლენინის «დიალექტიკას». მას ჯერ კიდევ არ მოზმანებოდა ხელისუფლება, როცა ენევაში, ემიგრანტი, სწერდა თავის ამხანაგებზე: მოპირდაპირის გასაწბილებლათ არ უნდა დაერიდოთ არც სიცრუეს, არც ცილისწამებასო. თუ ამხანაგებზე ამას სწერდა, თავის თავათ ნათელია, რომ «კაპიტალისტურ მთავრობათა» მიმართ საშუალებათა განურჩევლობა, რა რიგ ტალახიანი არ იყოს, ხელისუფლების უმალლეს კანონად გამოაცხადა მან მოსკოვში. და მე-18 წელია, რაც პირნათლათ ასრულებენ ამ კანონს კრემლის სტუმრები. ვის არ დაუდეს მათ პირობა, რომ ხელს იღებენ დამნგრევე მუშაობაზე, სად შესრულეს იგი? არსად, და მაინც გაცრუებული «კაპიტალისტური მთავრობები» განაგრძობენ «ნორმალურ დიპლომატიურ დამოკიდებულებას» მოსკოვთან! სჩანს, გულწრფელობას და



სხვა მზავს თვისებებს აქაც არა აქვს დიდი პატივი.

მაგრამ ერთა ლიგას აქვს აღებული თავის თავზე ერთი სრულიად გარკვეული საერთაშორისო ვალდებულება. «Journal de Genève»-ის დირექტორი, ჩვენი მეგობარი ჟან მარტენი საჯაროთ აყენებს ამ კითხვას თავის ერთ-ერთ მეთაურში. მას მოაქვს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების პირველი მუხლი, რომლის ძალით რუსეთი «სცნობს ურუნევროს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და უზუნაესობას, და ხელს იღებს თავის ნებით იმ უფლებებზე, რომელიც რუსეთს ეკუთვნოდა ქართველ ერზე და მის ტერიტორიაზე». ჟან მარტენი აღნიშნავს რა მოხდა ამის შემდეგ: წითელ ჯარების შემოსევა, ომის გამოუცხადებლათ, და ქვეყნის ოკუპაცია. შეასრულა თუ არა მოსკოვმა—კითხულობს ავტორი—თავისი საერთაშორისო ვალდებულება? არა, და ამით აიხსნება ის საერთაშორისო ვალდებულება, რომელიც ერთა ლიგამ აიღო თავის თავზე საქართველოს მიმართ. მან დაადგინა ერთხმით

1922 და 1924 წ.წ., რომ მისი საბჭო ვალდებულია შეურჩიოს დრო და გადადგას ნაბიჯები, თანახმად საერთაშორისო უფლებისა, საქართველოს «ნორმალურ» მდგომარეობის ანუ დამოუკიდებლობის აღსადგენათ.

უკეთ შერჩეული დრო, როგორცაა საბჭოთა კავშირის ლიგაში შესვლის კითხვის დასმა, წარმოუდგენელიცაა. ლიგის საბჭო ვალდებული იყო ამ დროსათვის არ დაეცადა, მოეთხოვა, ამ ათი წლის განმავლობაში, მოსკოვისგან დარღვეულ უფლების აღდგენა, მაგრამ დღეს, როცა შეიძლება თვით მოსკოვმა მიმართოს მას, სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ ლიგამ არ გაიხსენა თავისივე დადგენილებანი და არ წაუყენა მოსკოვს მოთხოვნა ხელი აიღოს საქართველოზე, თანახმად მის მიერ ხელმოწერილ პირობისა 7 მაისს 1920 წელს. ჩვენ იმედს გამოვსტკვამთ, რომ საქართველოს კანონიერი წარმომადგენლები უცხოეთში ცდას არ დააკლებენ, რათა ეს კითხვა ერთხელ კიდევ გამოტანილი იქნას საერთაშორისო ასპარეზზე და ღირსეულათ დატყლი.

ც ი ზ რ ო მ ა ნ ი ა

მიმდინარე წლის იანვარში ტფილისში მოწვეული იყო საქართველოს კომუნისტურ პარტიის მეცხრე ყრილობა. კომუნისტი მ. მაკალობლიშვილი საქართველოს რჩეულ ჯალათთა კრებულის დანახვაზე პოეტურ აღმაფრენას მოუცავს; თავის შთაბეჭდილებებს «კომუნისტის» ფურცლებზე იგი ასე იწყებს:

«და აი, ისინი მოვიდენ. საქართველოს ბოლშევიკების ნაღები—რჩეული ადამიანები მოვიდენ ფაბრიკებიდან, ქარხნებიდან, მალარგებიდან, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობებიდან, მოვიდენ და თან მოიტანეს მანქანების ინდუსტრიალური ნმაურობის პიშინი, მარგანეცის და ქვანახშირის მტვერი და სიმძიმე, კახური ღვინის ბრწყინვა, საკოლმეურნეო მიწის გულიდან ამოღოთქლილი ჩაის ფოთლების და ფორთოხლის სურნელება, ვენახის ზვრების სიმწიფე, პურის თავთავის ოქროსფრად მოღვვარე სახეები, გაბრწყინებული თვალები და კიდევ: ციფრები, ციფრები და ციფრები».

ეს ამონაწერი თუ სრული არა, ყრილობის ნაწილობრივი დახასიათება მაინც უთუოდ არის. ცინიკური ტრახანი, უსირცხვილო თავის ქება და ციფრების დაუსრულებელი ცეკვა,—აი ყრილობის მთელი შინაარსი.

ყრილობას მოხსენებით წარუდგა «რჩეულთა» შორის პირველი ჯალათი ბერია, რომელსაც ამ ორი წლის წინეთ ჩააბარეს საქართველოს კომპარტიის გენერალური მდივნობა და მთელი საქართველოს ბედ-იღბალი. ბერიამ მოხსენება დაიწყო მის წინამორბედთა ჩაწიხვით და თავისი თავის განდიდებ-

ბით. «თქვენ გახსოვთ,—დადადყო მან,—რომ მემკვიდრეობა, დატოვებული წინანდელ ხელმძღვანელობის მიერ, არ ბრწყინავდა კარგი მაჩვენებლებით. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას (როგორც აგრეთვე მთელი ამიერ კავკასიისაც) ანჯღრევდა ციფრ-ცხელება შუღლისა, ინტრიგების და ერთიმეორისათვის ფეხის გადადების. «ატამანშიჩინა» და ჯგუფური უპრინციპო ბრძოლა ჩვეულებრივი მოვლენა იყო მთელ რიგ ორგანიზაციებში. ამ ბრძოლის წყალობით უკანა რიგებში გადადიოდენ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების საკითხები» და სს.

მაგრამ ორი წლის წინეთ ხელმძღვანელობის საქე ჩეკისტ ბერიას ჩააბარეს და დაიწყო ხანა «აყვავებისა». ბერიას ხელმძღვანელობას უკანაკსნელ ორი წლის განმავლობაში საქართველოს მრეწველობაში 207,7 მილიონი მანეთი დაუბანდებია. რომ საბჭოთა ქვეყნებში ციფრებს ისეთივე მნიშვნელობა და ფასი ქონდეს, როგორც ევ არის ყველა წესიერ მოწყობილ ქვეყანაში, ეჭვი არ იქნებოდა, რომ ამოდენა თანხა მართლაც ააყვავებდა პატარა საქართველოს. მაგრამ ბოლშევიკური ციფრები განყენებული ასტრონომიული რიცხვთ აღრიცხვაა და არა რეალობის სწორი სარკე. და მართლაც რას წარმოადგენს დღევანდელი ჩეროვონული მანეთი? როგორია მისი ყიდვითი უნარი?

ტორგსინის მაღაზიებში, სადაც საქონელს ყიდიან მხოლოდ ოქროს მანათებზე ან უცხო ვალიუტაზე, ტორგსინის ერთი მანეთი ოფიციალურად და საქვეყნოდ იყიდება იმავე ტორგსინის მაღაზიაში 52 მანათად. ამ ანგარიშით ჩეკისტ ბერიას 207,7 მილი-

ონი მანათი ძლიერ-ძლიობით უდრის მხოლოდ 4 მილიონ მანათს. ამის გარდა ისიც საკითხია—მთლიანად დაბანდა მრეწველობაში ეგ ღირებულება და-კარგული ორას შეიდი მილიონი, თუ მისი საგრძნობი ნაწილი წითელ დირექტორებისა და გამგეების ჯიბეებში განაწილდა? კომუნისტური განთავის ხშირად გვიმოწმებენ, რომ ქარხნებსა და ფაბრიკებში ქურდობი და ავანაჟები ბუღობენ. თვითონ ბერია გვიამბობს თავის მოხსენებაში ერთ დამახასიათებელ მაგალითს. საქართველოში არსებობს ტრესტი, რომელსაც სახელად ეწოდება «ჩაი—საქართველო». ამ ტრესტის 1931 წლის ანგარიშებში ირიცხება 22.128 გა ჩაის პლანტაციებისა. გამოიძება კი აღმოუჩენია, რომ «2.228 გა სულაც არ არსებობს, 347 გა სრულიად უვარგისია, 1.932 გა გავერანებულია და აღდგენას საჭიროებს და 5.323 გა კაპიტალურ რემონტს მოითხოვს. მხოლოდ 12.298 გა აღმოჩნდა ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში», ესე იგი ნახევარზე ცოტათი მეტი. რას მოხმარდა ან ვის ჯიბეში წავიდა ის თანხები, რომელიც მეორე ნახევარზე უნდა დახარჯულიყო? ალბად იმ ქურდებისა და ავანაჟების, რომლებიც ქარხნებში და ფაბრიკებში ბუღობენ.

ცხადია ამით აიხსნება ისიც, რომ წარმოების მთელ რიგ დარგებს 1933 წლის გეგმა ვერ შეუსრულებიათ. მოხსენების ჩვენებით ტყეობის მალაროებს შეუსრულებია გეგმის მხოლოდ 58 პროცენტი, საამშენებელ მასალების წარმოებას—76,7, ტყის მრეწველობას—64, სამკერვალო წარმოებას 82,4, მაუდის ქარხნებს 78,9, ფეხსაცმელებისას—57,4, საკონსერვოს—85,5 და შაქრისას—53,4. გეგმა ვერ შეუსრულებია აგრეთვე შავი ქვის მრეწველობასაც, რასაც მოყლია კარზე მოდებადის გაქვეება და მის ადგილას ხელმძღვანელთ ვილაც ამხ. არუთინოვის დანიშნა. ამასთანავე ქვათურის მრეწველობა გადასულა საკავშირო «ნარკომტიკაპრომის» უშუალო გამგებლობაში.

ვერც ტყვარჩელის მალაროების მოწყობის საქმე ყოფილა უკეთეს მდგომარეობაში, რის გამო კომპარტიის ცეკას გადაუყენებია ძველი ხელმძღვანელობა.

ცხადია, რომ ასტრონომიულ ვარაუდების შედგენა და ციფრების კორიანტელის დაყენება უფრო ენერჯებით ჩეკის ტებს, ვინემ გვემების შესრულება.

ასეთივე მდგომარეობა ყოფილა მსუბუქ ინდუსტრიის დარგშიც. ეს ის დარგია, რომელიც უმთავრესად პირველ მოთხოვნილების საგნებს ამზადებს. ვარაუდით ამ დარგს 1933 წელში უნდა მოეცა 101 მილიონის პროდუქცია; მოუცია კი მხოლოდ 85 მილიონის, ე. ი. 16 მილიონით ნაკლები. ეს 85 მილიონიც რომ ტორგისინის (ე. ი. ოქროს) მანათებზე გადავიყვანოთ, მივიღებთ გამრგვალებით 1.635.000 მან., ერთ სულ მცხოვრებზე მოუწევს დაახლოებით 50 60 კაპეიკი; თუ ამასთანავე მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ბოლშევიკური პროდუქცია სახლპროთ დიდ ბრაკს იძლევა, არც ამ კაპეიკებიდან დარჩება ბევრი რამ. ბერიას ცნობით მკერავთა ტრესტის მიერ დამზადებულ 260 ტანსაცმელიდან 56 პირ-

უკულმა ყოფილა შეკერილი, 50-ს ქამრები კლებია, 65-ს კალთები ქონია შებრუნებული და სხ.

გორის საკონსერვო ქარხანა 11 იანვრის «კომუნისტში» დიდის ამბით იუწყება, რომ მან «გამოასწორა შეცდომები და 1933 წლის საწარმოო დავალება 100 პროც. შეასრულა; გამოშვებულია 8.751.000 ქილა კონსერვი. საექსპორტო კონსერვების დამზადება შესრულებულია 101,8 პროც. ქარხნის მთელი კოლექტივი სიტყვას იძლევა, რომ იანვრის გეგმას გადაჭარბებით შეასრულებს». ხოლო ბერია თავის მოხსენებაში, რომელიც წინა დღით, ე. ი. 10 იანვარს იყო წაკითხული, ამავე ქარხნის შესახებ შემდეგს გვიამბობს: «ქარხნის ეზო ერთობ პალეასტომს წარმოადგენს, საესეს ნაგავით, რომელიც არ გააქვთ; იქვე ლეება და შმორს აყენებს. მაგიდები, რომელზედაც გადაჩევა ხდება, დაბინძურებულია... დროა დასასრულ ბოლო მოეღოს ამ სისაძაგლეს».

მხოლოდ სოფლის კოლხობებს და მშრომელ კერძო მეურნეთ შეუსრულებიათ დავალება სრული 100 პროც. და ხშირათ გადაჭარბებითაც, მაგრამ ეს მიღწევა ყოფილა შედეგი—ბერიას სიტყვებით რომ ვსთქვათ—«გაათრებული ბრძოლისა კლასიურ მტრის წინააღმდეგ სოფელში». უკეთ რომ ვსთქვათ ჩეკისტების დამკვრელ რაზმებს სუფთად გაუძარცვათ სოფელი.

მოხსენების ცნობებით, მუშის წლიური საშუალო ხელფასი 1933 წელში 1.587 მანეთი ყოფილა. ბერიას ამოდენა ხელფასი დიდ მიღწევით მიაჩნია და ამაყობს კიდევ. მაგრამ საკმარისია ეგ 1.587 მან. გადავიყვანოთ ტორგისინის მანათებზე, რომ ყოველივე საფუძველი გამოეცალოს მის ტრაბასს; ამისთვის საკმარისია იგი გავყოთ 52 ზე, მივიღებთ 30 მანათს და 52 კაპ. აი ბოლშევიკური სოციალისტური ქვეყნის წლიური საშუალო რეალური ხელფასი! თვეში მოდის 2 მან. და 71 კაპ.

პარიზში მუშის საშუალო ხელფასი საათში 5 ფრანკს უდრის; რა საათიან საშუალო დღეში ფრანგი მუშა 40 ფრ. იღებს. ქართველი მუშა თავისი თვიური ხელფასით ტორგისინის მალაზიაში სულ 5 კილო ნახევარ შაქარსაც კი ვერ შეიძენს; ფრანგ მუშას კი დღიურ ხელფასში 10 კილო შაქარს სახლში მართმევენ. მაშასადამე ფრანგი მუშა თითქმის ორჯერ მეტს იღებს დღეში, ვინემ ქართველი მუშა თვეში. საფრანგეთში მარტოხელი უმუშევარი გარდა ბინის ქირისა დღეში იღებს დახმარებათ 10 ფრანკს, რაც ორი კილო ნახევარ შაქრის ფასს შეადგენს, ე. ი. იმდენს, რამდენსაც ქართველი მუშა ბოლშევიკურ მონურ პირობებში ნახევარი თვის მუშაობაში. ეს იმდენად ზღაპრული ამბავია, რომ მას ევროპიელი არავითარ შემთხვევაში არ დაიჯერებს, ხოლო ქართველ მუშისათვის ეს «ზღაპარი» მწარეზე უმწარესი სინამდვილეა.

ასეთია ფასი და ღირსება ციფრომანიით შეპყრობილ ბოლშევიკების ციფრებისა. ჩეკისტი მგალობლიწვილი სიხარულით ეგებება ვაბეროლ ასტრონომიულ ციფრებით დატვირთულ ჯალათთა კრებულს, მაგრამ იგი ვერ ხედავს, უკედ რომ ვსთქვათ,



არ უნდა დაინახოს, რომ ამ ციფრების ამარა დარჩენილი ქართველი ხალხი შიშველ-ტიტველია, დაუსრულებელი, ქრონიკული შიმშილით ფიზიკურ გადაშენების პირად არის მიყვანილი.

მაგრამ შორს არ უნდა იყოს ის დრო.—და მე ამის სრული იმედი მაქვს.—როდესაც თავგამოდებით მებრძოლი ქართველი ხალხი ბერიებს და მგა-

ლობიშვილებს აიძულებს დაინახონ ის, რის დანახვას ისინი დღეს ბეჯითად გაუბრძიან. ჩამოკრავს ზარი აღსასრულისა და «ქართველ ბოლშევიკების ნაღები» წავა, წავა სამუდამოდ, სამიდღემჩით; მის ადგილას მოვა ბატონობა საბოლოოდ განთავისუფლებულ ქართველი ერისა.

ბ. აბიძე.

კ ა ვ კ ა ს ი ა ლ ა მ ი ზ ო ზ ე ბ ი

ეს ერთი ხანია საინტერესო კამათი გაიმართა ადერბეიჯანელ პატრიოტებსა და თურქეთის პრესის ერთ ნაწილს შორის. კამათის საგანი ფრიად მნიშვნელოვანია, როგორც კავკასიის, ისე საქართველოსათვის. ამ კამათის ზოგიერთ ეპიზოდებს მკითხველი გაცნობილია ჩვენი გაზეთის—«დამ. საქ.»-ს საშუალებით და აქ არ შეუდგებით მისი შინაარსის დაწვრილებით გადმოცემას; მხოლოდ ვიტყვი, რომ მოხდა ის, რასაც ვგრძობდით და, რაც გვაფიქრებდა: სტამბოლის ერთ-ერთი გაზეთი «ბირლიკი» აშკარათ გამოვიდა კავკასიის დამოუკიდებლობის და მისი კონფედერაციულად მოწყობის წინააღმდეგ. ის შეებრძოლა არა კავკასიის ერების სულთამხუთავს—მოსკოვს, არა რუსების ბატონობას კავკასიაში, არამედ იერიში ამ ერთა კავშირზე მიიტანა, მათ შეუტია და მათი დაშლა—დაქსაქსვა მიზნათ დაისახა. საშუალებაც შესაფერისი, ჩვენს პირობებში მეტად მჭრელი, გამოინახა და, ამრიგად, კავკასიაში რუსეთის საქმის კეთებას შეუდგა.

გაზეთი სწორს: «ჩვენ («ბირლიკი») არა ვართ წინააღმდეგი ადერბეიჯანმა, თურქესტანმა, ან სხვებმა არსებულ პირობებში დამოუკიდებლობა მოიპოვონ იმ პირობით, რომ შემდეგ, როცა შესაფერისი მომენტი დადგება, ოსმალეთთან გაერთიანდენ და შექმნან ერთი სახელმწიფო—თურქული სახელმწიფოა». ამ რიგად «ბირლიკი» და კომპანია სულგრძელათ ნებას რთავს დამოუკიდებლობა მოიპოვონ, მაგ. ადერბეიჯანმა და მთამ. ხლო იმ პირობით, რომ შემდეგ თავი გაუყარონ ოსმალეთის უღელში. ამას დაუმატეთ, რომ, თურმე «საქართველოს არ აქვს არც პოლიტიკური და არც სამხედრო მნიშვნელობა». და ასე «ბირლიკმა» შეიყვანა რა ადერბეიჯანი და მთა ოსმალეთის ორბიტაში და მას შეუერთა, ზედ საქართველოც მიიყვანა, როგორც კავკასიის «უმნიშვნელო» ნაწილი.

ამ რიგად ამ კამათის ასპექტში ჩვენს წინ გადაიშალა რუსეთ-ოსმალეთის ძველი ისტორიული მისწრაფებანი კავკასიაში. თავი წამოყო იმ ინტერესთა ჭიდილმა, რომლის მიზანი იყო ერთის მხრივ რუსეთის სწრაფვა კავკასიის მბრძანებელ პოზიციების დასაკავებლად და მეორე მხრივ ოსმალეთის ცდა, კავკასია თავის რკინის სალტეში ჩაეჭუდა. დღეს ბრმაც ხედავს თუ, რით გათავდა ეს ისტორიული დავა. ამის შედეგათ ოსმალეთმა დაკარგა სამიმეოთხედი თავის ტერიტორიისა და ოთხი მეხუთედი ხალხისა! ყველა ამის შემდეგ «ბირლიკის» მიერ წამოყენება იმავე პოლიტიკის—სწორედ რომ გასაკვირია.

ამაზე იტყვიან: «ბრიყვისთვის გამოცდილება ცუდი გარჯაა»-ო. ჩვენ არ გვგონია თურქეთის პასუხისმგებელი პირები იზიარებდენ «ბირლიკის» ამ დახავსებულ, ცხვირპირ დამხსვრეულ პოლიტიკას.

ჩვენ ვიცით, რომ თვით დღევანდელ თურქეთში იბრძვის ორი აზრი ერთი—წმინდა თურქული, დღევანდელ ფარგლებში თავის სახელმწიფოებრივობის მოწყობის და განმტკიცებისათვის მებრძოლნი, ხოლო მეორენი—პლანეტარულ გეგმების მოტრფილენი, დიდ პანთურანულ სახელმწიფოზე მეოცნებენი. ეს ორი პოლიტიკა—დიამეტრალურად მოწინააღმდეგე თვით დღევანდელ თურქეთის სინამდვილეში—თავისებურ გამოძახილს პოულობს მის გარეთ, როგორც მეზობლებში, ისე რუსეთის ფარგალში მოქცეულ თურქ ერებში. რამდენად პირველი-მისაღებია და სასურველი, იმდენად მეორე დამლუბველია და საზარალო. პირველისათვის კავკასია რეალური ბუფერია არსებულის დასაცავათ და შესანარჩუნებლად და, მაშასადამე, მეზობელი და მეგობარი. ხოლო მეორესათვის ლუკმაა—გადასაცლაპავი და მოსანელებელი. ცხადია ამ ორ პოლიტიკას შორის კავკასიის ერებისათვის არჩევანი წინდაწინ გადაჭრილია. ის მეგობარია პირველის, მტერი—მეორესი.

დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ რუსეთის ფარგალში მოქცეული თურქი ხალხები «იაკუტის-ტანიდან დელიორამდე» მართლაც გამომაგებთ იბრძვიან სხვა ჩაგრულ ერებთან ერთად თავისუფლებისათვის. მარა ვერავინ დასწამებს ამ ხალხებს, რომ ისინი იმატომ ებრძვიან რუსეთს, რომ შემდეგში «ბირლიკებს» ეყმონ, თუგინდ «დიდი თურანულ სახელმწიფოს» დროშით. პირიქით, პანთურანისმზე ასე აღვირახსნილი ქადაგით «ბირლიკმა» და კომპ. წინააღმდეგ შედეგს მიიღწია; სწორედ ამ ნიადაგზე თურქ ერებში გაჩნდენ ჯგუფები, რომლებიც ქადაგებენ განთავისუფლებულ რუსეთის ფარგლებში დაჩრქვას, სადაც, მათი აზრით, «30 მილიონ თურქის ხალხს შესაფერისი წონა და გავლენა ექნება»-ო. ეს, რასაკვირველია, წმინდა რუსული რეაქციაა თურანისტული აქციით გამოწვეული—თანაბრად საზიანო და დამლუბველი თურქ ხალხების თავისუფლებისათვის.

მერე ვინ იგებს ამით? ვფიქრობთ, არა თურქეთი, თუმცა ამას ვერ ვიტყვი «ბირლიკზე» და მის ამყოლებზე, რომლებიც თავის გამოხვლებით ამავრებენ მოსკოვის ბატონობას ჩაგრულ ერებზე. ამ მხრივ ტყვილა ჯავრობს «ბირლიკი», «ისტიკალმა» ბოლ-

შევიკების სასარგებლოდ მომუშავენი გვიწოდა»-ო. «ბირლიკმა» ეს სახელწოდება სამართლიანად დაიმსახურა და ეს, ალბათ, ასეც შევა ჩაგვრულ ერთა ისტორიაში.

მარა «ბირლიკს» ლოლიკის გარდა მესხიერებაც მოკლე ქონია. ის სწერს: «ჩვენ კავკასიის კონფედერაციის წინააღმდეგი ვართ, რადგანაც ჩვენის რწმენით ზიანს მოუტანს თურქ ხალხთა კულტურულ ერთიანობას»-ო. ჩვენ არ გვიკვირს, რომ «ბირლიკი» წინააღმდეგია კავკასიის დამოუკიდებლობის, მაგრამ, ნუ იტყვი, თურმე ამის წინააღმდეგი ყოფილა «კულტურულ ერთიანობის» მოსახრებით. ალბათ, ის ამავე მოსახრებით არის წინააღმდეგი თურქესტანის დამოუკიდებლობის, რადგან ისიც ხომ «პანთურანისტულ სახელმწიფოს» ფარგალში შეყავს. მარა ჩვენ გვინდა ვკითხოთ «ბირლიკს», «რა კულტურული» კავშირი აქვს მას და საერთოდ თურქეთს რუსეთის ფარგალში მოქცეულ თურქებთან? ეგებ დღევანდელ თურქეთს შესაძლებლობას აძლევს მისი—«გულითადი მეგობარი» მოსკოვი, მაგ. ადერბეიჯანში, თურქესტანში, ყაზანის თათრებში, ან და «იაკუტისტანში» თავისი კულტურა შეიტანოს. გახსნას სკოლები, წიგნთსაცავები, იქნისოს ლიტერატურული და საერთოდ კულტურული კავშირი? თუ ყველაფერი ის აქვს «ბირლიკს», მაშინ კიდევ ჰო, შეიძლება ითქვას რაიმე «კულტურულ მთლიანობის» შებღალავაზე კავკასიის კონფედერაციის არსებობით; მაგრამ არა გვგონია «ბირლიკმა» ამის მტკიცება გაბედოს. თუმცა მას შეუძლია მოიყვანოს აუარებელი ფაქტები მოსკოვის მიერ ანგარისათვის თოფ-ზარბაზნების და ჰაერობლანების ჩუქებაზე და არც ერთი ფაქტი «კულტურულ კავშირზე». თუ ჩვენი არ სჯერავს «ბირლიკს» ურჩევთ წაიკითხოს მასზე უფრო ავტორიტეტული და უეჭველად საქმეში ჩახედული გაზ. «ხერკიუნი»-ის 27 28 ოქტომბრის 1933 წ. ნომერში მოთავსებული ბ. ნურედინ ბეის წერილები, სადაც ავტორი გულის ტკივილით აღნიშნავს: «მეფის რუსეთი ნებას რთავდა და უშვებდა თავის ტერიტორიაზე ჩვენს გამოცემებს—გაზეთებს, წიგნებს. ესლა ეს აკრძალულია; ერთი და იმავე ნაციის ორ შტოთა შორის ორმოა გათხრილი... კეთდება ყველაფერი არა კულტურულ დასაერთიანებლად, არამედ დასაწილად და დასაშორებლად». აქედან ამკარა: «გულითად მეგობარს» გადაუჭრია «კულტურული» კავშირის ძაფები, თურქულ «ორ შტოტა შორის ორმოა გაუთხრია», ხოლო «ბირლიკი» კი ამას გვერდს უხვევს და კავკასიას თავს ესხმის! რა არის ეს, —სიბეცე, თუ მართლაც და ბოლშევიკებისათვის მუშაობა?

კიდევ მეტი, ჩვენ წინ დევს «იამ თურქესტანის» ნომერი, სადაც ვკითხულობთ: «დამშეულ რუსეთის ფარგლებში იმყოფება 30 მილიონი მუსულმანობა, რომელთა შორის 16 მილიონი თურქესტანელი განიცდის ჯერ არ გავიგონილ შიმშილს და აწიოკებას, მაგრამ გაგიგონიათ სადმე, მსოფლიოს რომელიმე კუთხეში ამ 30 მილიონისადმი თანაგრძნობის ხმა? გამოჩნდა განა თუგინდ ერთი მუსულმანური სახელმწიფო, რომელსაც ეფიქრა ამ ტრაგედიის მსოფლი-

ოს ყურამდე მიწვდენა? განა ნახეთ სადმე დაწერილი თუგინდ ერთი სტრიქონი ამ საშინელ უბედურების შესახებ?» ეს ამონაწერი და ზევით ნათქვამი გვიჩვენებს თუ სიო საიდან უბერავს. «ბირლიკს» გული იმდენად არ სტკივა თურქ ხალხებზე და ადერბეიჯანთან კულტურულ კავშირზე, რამდენად ეშინია ამ ხალხებმა მართლაც არ მოიპოვონ თავისუფლება და «მეგობარი» რუსეთი არ დასუტუნდეს. თორემ გულშემატკივარი არა გათიშვანზე, არა მტრობანზე და მუქარაზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს. არამედ შეეცდებოდა «მონათესავე თურქ ერებს» მორალურად დახმარებოდა; «ძმები» მოსკოვის კლანჭებიდან ეხსნა, გაკვირება შეემსუბუქებია და «იამ თურქესტანი»-ს თქმის არ იყოს, «იფიქრებდა ამ ერების ტრაგედიის მსოფლიოს ყურამდე მიწვდენას».

მაგრამ «ბირლიკი» არც ამით კმაყოფილდება და საქართველოსაც უტევს. ის ცდილობს სოც.-დემოკრატიის ძაგებზე საქართველო გაამტყუნოს. ამისთვის ის აწერს «ბრძოლის ხმას» ვითომც ამ უკანასკნელს ეთქვას: «ჩვენ შეგებრძოლებით ყველა იმათ, ვინც მოისურვებს საბჭოთა ხელისუფლების იარაღით ჩამოგდებასო» და ამაში ხედავს საქართველოს მიერ მომავალში ბოლშევიკების დაცვის განზრახვას. ჯერ ერთი «ბრძ. ხმას» ეს ფრანა არასოდეს უხმარია. ან კი როგორ შეიძლება ქართველი ხალხი «მეგობრობას» ბოლშევიკების ჩამოგდებას მაშინ, როდესაც თითონ იარაღით ხელში 1924 წ. მარტოთ-მარტომ, გამირულათ შეუტია უზარმაზარ რუსეთს? მაგრამ არის «იარაღი» და იარაღიც. თუ ვინმე ფიქრობს ბოლშევიკები იარაღით ჩამოაგდოს, ხოლო საქართველო კვლავ მონობაში იყოლიოს,—ნურას უკაცრავად, თუ ამ ახალ «იარაღს» იარაღი შევაგებოთ. განა ეს არის ბოლშევიკების დაცვა? ამის არ გაგება მართლაც საქართველოს და კავკასიის მტერთ შეუძლიაო.

ეს კიდევ არაფერია, რომ «ბირლიკი» არ შეცდილიყო საქართველო ადერბეიჯანის წაიდებას. ის ადერბეიჯანს «ქართველებისადმი მიყიდულათ» ნათლავს და ამით ცდილობს ორ მეზობელ ერთა შორის შუღლი და მტრობა ჩამოაგდოს. მაგრამ ანგარიში შეეშალა. მას დაავიწყდა, რომ საქართველოს, აზერბეიჯანის და მთის კავშირი სიყვარულზე და ლამაზ თვალებზე როდია დამყარებული, არამედ ამ ხალხების რეალურ ინტერესებზე. მათ საკმაოდ გამოსცადეს, როგორც დიდი ოსმალეთის ბატონობა, ისე რუსეთის ჯალათობა და გადასწყვიტეს იყონ თავისუფალი, თავის ბედის და ქონების გამგებელნი და არა მონა-მორჩილნი. რასაკვირველია, ეს არ მოსწონს ჩრდილოეთით—რუსეთს და სამხრეთით—«ბირლიკს». მაგრამ ამას არ შეუძლია აღებული ხაზი, ისტორიის გზა და განაჩენი შესცვალოს. ვაზ. «იკტიკალი» ირგვლივ შემოკრებილი ადერბეიჯანელი მეგობრები ჩვენ მიგვაჩნია ამ კავკასიურ ხაზის და ორიენტაციის მატარებლათ, მის ერთგულ დამცველათ. ამით ისინი საქართველოსთან ერთად იცავენ თავის მეს, თავის კერას და ჩვეულება-ადათებს. ჩვენ არ გვაშინებს ისტორიის ჩარხის ტრიალი, ვინაიდან მის ბორბლიდან გამოვარდნილი არა ერთი და ორი



დიდი ერი და სახელმწიფო უნახავს კავკასიის ჭალა-რა ხალხებს, ხოლო კავკასია კი დარჩენილა და დღესაც ბრძოლას განაგრძობს. მას ხელს ვერ შეუშლის «ბირლიკების» წუწუნი და მხამიანი ისრები, რომელთა წვერებზე მონობა აწერია.

აშკარაა—თურქეთის ზოგიერთ გაზეთში მოსკოვმა თავის დამცველები გაიჩინა. რის გაკეთება რუსეთის სახელით შეუძლებელი ხდება, აკეთებენ თურქეთის სახელით. ეს ფრიად მოხდენილი ხრიკია. მოსკოვმა კარგად იცის საქართველოს გადაწყვეტილება, რათაც არ უნდა დაუჯდეს—იქნეს თავისუფალი. იცის, რომ საქართველო არ შეურიგდება სამხრეთის ბატონობას ისე, როგორც დღეს არ ურიგდება ჩრდილოეთის ჯალათობას. ამისთვის კი საჭირო იყო სამხრეთის საფრთხის კავკასიის წინაშე წამოყენება, რომ მის მეტროპოლ რაზმებში არე-დარევა გამოეწვია და აი ეს როლი «ბირლიკმა» აიღო. ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ამ გამოლაშქრებას კავკასია მომზადებული დაუხვდა და მას საკადრისი პასუხი გასცა. დღეიდან უნდა იცოდეს კავკასიის ხალხებმა, რომ მტერი ღრმა შემოვლასაც არ ერიდება, ყოველივე ზომას მიმართავს. რომ ჩვენ შეგვაუსუსტოს, დაგვესაქსოს და ცალ-ცილკე მონობის უღელი დაგვადგას. ჩვენი მთლიანობა—თავისუფლების თავდებია, დაშლილობა—მონობას გვიმზადებს. ამიტომ ერთად ყოფნა, მკიდრო კავშირი, მტკიცე და რაზმულობა—აი რა უნდა ვახდეს ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედით!

ჩვენ გვწამს, კავკასია აღსდგება და ამ აღდგომის დღეს თურქეთის ხალხი ჩვენთან იქნება, «ბირლიკი» კი ალბათ, ... მოსკოვში.

ხან. მკნ.

პ ა მ ტ ე ბ ი ს ძ ე ბ ნ ა შ ი

იაპონიის აქტიობამ შორეულ აღმოსავლეთში და რასისტული ხელისუფლების დამკვიდრებამ გერმანიაში საბჭოთა ხელისუფლება დიდ საგონებელში ჩააგდო. ორივე ამ დიდ მეზობლებს საბჭოთა კავშირისაკენ უკავიათ თვალის და ფიქრობენ მის ხარჯზე თავის სახლებზე გაფართოვებას. კომუნისტური ხელისუფლება კარგად ხედავს ამ საფრთხეს და წყალწალღებულებით ხვავს ეკიდება თავისი ტყავის გადასარჩენათ. მას კარგად ესმის მისი სამხედრო ძალის ფასი და ღირებულება, კარგად აქვს შეგნებულები, რომ საბჭოთა კავშირის გაძარცვულ-გალატაკებული, ფიზიკურ გადაშენების პირამდე მიყვანილი მოსახლეობა თითხაც კი არ გააქანებს მის მისაშველებლათ; პირიქით დროს უცდის და მოხერხებულ შემთხვევას დაეძებს, რომ თავიდან მოიცილოს ბარბაროსული ხელისუფლება. რას წარმოადგენს ამ მოსახლეობისათვის გარეშე მტერი შედარებით მის დღევანდელ ხელისუფლებასთან?!. მის არსებულ მდგომარეობაზე უარესის წარმოდგენაც კი შეუძლებელია. იგი ჩაყენებულია სახედარ პირუტყვის მდგომარეობაში მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ გონიერი პატრონი თავის სახედარ პირუტყვს უფლის, აპატი-

ებს, თავის დროზე აქმევს და ასმევს, ხოლო კომუნისტური ხელისუფლება კი მონობის უღელში შებენულ ხალხს შიმშილ სიცივეში აძრებს სულს. ასეთ ხალხს სამშობლო არა აქვს, მაშასადამე არც დასაცავი აქვს რამე. მისთვის ყველაზე უფრო საშიშელი მტერია მისი შინაური მტერი—კომუნისტური ხელისუფლება,—მოწამლული წყარო ყველა მისი უბედურებათა.

ცხადია, რომ ასეთი ხალხის იმედით თავს ვერ დაიტყვილებს საბჭოთა ხელისუფლება. არც კვეხნა და დაუსრულებელი ტრაბახი წარმოადგენს ისეთ იარაღს, რომელსაც შეეძლოს კარზე მომდგარი საფრთხის თავიდან აცილება. მოკავშირისა და მოკეთის შოვნაც მისთვის გამორიცხული გზაა: დიდათ საეჭვოა მოიძებნებოდეს ისეთი სახელმწიფო, რომელშიც მისი გულისთვის იარაღი აისხას და გვერდში ამოუდგეს, ყველა იქვის თვალთ შეტყერის და მისგან კარგს არას გამოეღოს. მას დარჩა მხოლოდ ერთი «ხავისი»—მშვიდობიანობის მოციქულის ქურქში გახვევა და თავდაუსხმელობის პაქტების ძებნა. მან კიდევ შესძლო რამდენიმე ასეთი პაქტის დადება, მაგრამ ყველა ისეთ სახელმწიფოებთან, რომელნიც მას არაფერში ედავებიან, ხოლო გერმანიას და იაპონიას ასეთი პაქტი სულაც არ ეხალისებთ. საბჭოთა ხელისუფლებამ რამდენჯერმე მიმართა იაპონიას სათანადო წინადადებით, მაგრამ უკანასკნელმა ზრდილობიანი უპირთ გამოისტუმრა ყველა მისი მოციქულები.

ამ ორი კვირის წინათ დეპეშებმა გვამცნო ლიტვინოვის ახალი განზრახვა; მას აზრათ ქონია მთელი მსოფლიოს ყველა ქვეყნებს მიმართოს წინადადებით ურთიერთშორის დასდონ თავდაუსხმელობის პაქტი; არავითარი წინასწარმეტყველობა არ იქნება თუ განზრახვას წინასწარ განწირულად ჩავთვლით. გარდა იმისა, რომ ასეთი პაქტისთვის ამ ყამად არავითარი ნიადავი არ არსებობს, არც ერთ საბჭოთა კავშირთან მეზობლური ურთიერთობით დაინტერესებულ ქვეყანას არ სწამს კომუნისტური ხელისუფლების გულწრფელობა. ყველამ კარგად იცის, რომ მისთვის ყოველნაირი პაქტი ნაკუწი ქალღვრია, დროებით სულის მოსათქმელი საშვალეობა და მეტი არაფერი. მისი მორიგის ბუნება ყველასთვის ცნობილია და მას სერიოზულად არავინ ენდობა.

ასეთივე სულის მოსათქმელი საშვალეობა იქნება მისთვის ნაციათა ლიგაში შესვლაც და სწორეთ ამ მიზნით აიხსნება მისი ცდა ყენეგაშიც მოიკალათოს. მოსკოვის ბატონები ალბად ფიქრობენ, რომ ყველა დიდი სახელმწიფოები დიდი ენტუზიასტები არიან საბჭოთა კავშირის ნაციათა ლიგაში შესვლის და პირობებსაც კი აყენებენ. საფრანგეთის პრესა იუწყება, რომ ბოლშევიკების ინიციატივით კიდევ დაიწყო კულსებში მოლაპარაკება და ლიტვინოვს საბჭოში მუდმივი ადგილისა და განსაკუთრებულ ვოტუმით მიწვევის გარდა პირობათ წამოუყენებია ვერეთვე მსოფლიო თავდაუსხმელობის პაქტის დადება. ამის საპასუხოთ ლონდონის «დეილი ტელეგრაფი» გვამცნობს, რომ საბჭოთა კავშირის ნაციათა ლიგაში შესვლა ლონდონში თანაგრძობას ვერ პოულდ-

ბსო. ინგლისურ წრეებში ეყვს გამოსთქვამენ იმის გამო, რომ შესაძლებელი იყოს ლიგის წევრათ მიღება ისეთი სახელმწიფოსი, რომელიც თავის მთავარ მიზნათ ისახავს სხვა ქვეყნებში რევოლუციის მოწყობას.

კიდევ უფრო საგულისხმეორო არის იაპონიის ათი ახალი პირობა, რომელიც ამ დღეებში გვაუწყებოდა ტოკიოდან გადმოცემულმა დეპეშამ. ეს პირობები, ურომლისოდაც იაპონია არ ფიქრობს ნაციათა ლიგაში დაბრუნებას, ნათლად მოწმობენ, რომ იაპონია სულაც არ ფიქრობს ისეთ პაქტზე, რომლის ერთი კამპანიონთაგანი საბჭოთა კავშირი იქნება. პირიქით ერთი პირობათაგანი მოითხოვს ნაციათა ლიგის სტატუსის მეთექვსმეტე მუხლის გაუქმებას. ამ მუხლის განმარტებით თუ ლიგის რომელიმე წევრი სტატუსის მოთხოვნილების წინააღმდეგ ომს გამოუცხადებს ლიგის მეორე წევრს, ამით იგი ომს უცხადებს ლიგის ყველა წევრებს. ცხადია, რომ იაპონია ფიქრობს ხელის გახსნაზე და არა ხელის შეკვრაზე.

ამავე დროს იაპონია ყოველივეს ღონობს მეგობრული განწყობილება ჩამოაგდოს შეერთებულ შტატებთან და მშვიდობიანი გზით მოაგვაროს მასთან ყველა სადაო საკითხები. ამ მიმართულებით წარმატებული მუშაობა უკანასკნელის ცნობებით წარმატებით მიმდინარეობს. საგარეო საქმეთა სეკრეტარმა კორდელ ჰალმა უკვე აღძრა საკითხი შეერთებულ შტატებში იაპონურ ემიგრაციის აღკრძალვის გაუქმების შესახებ. როგორც ვიცით დღემდე იაპონელთათვის შეერთებული შტატების კარები დახურული იყო, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა იაპონიაში. კორდელ ჰალი სრულიად სამართლიანად ფიქრობს, რომ ამ გარემოების აღკვეთა დიდად შეუწყობს ხელს იაპონიასა და შეერთებულ შტატებს შორის მეგობრულ განწყობილების დამყარებას.

ამავე დროს იაპონიის ელჩი ვაშინგტონში—საიტო—დეპეშით სთხოვს ნებართვას თავის მთავრობას დაიწყოს მოლაპარაკება ფილიპინის კუნძულების ნეიტრალიზაციის შესახებ. ფილიპინის კუნძულები ერთი მტკივნეული ალაგთაგანი იყო დღემდე იაპონია-შეერთებულ შტატების დამოკიდებულებაში. სჩანს რომ ახლა ეგ საკითხიც მშვიდობიან მოგვარების გზაზე შემდგარა.

საბჭოთა რუსეთი კი ფიქრობდა გამოეყენებია შეერთებული შტატები იაპონიის წინააღმდეგ, მაგრამ სინამდვილე გვიჩვენებს, რომ წინააღმდეგი მოხდა: პრეზიდენტმა რუზველტმა საბჭოების ცნობა გამოიყენა იაპონიასთან მეგობრულ განწყობილების მოსაგვარებლათ.

ცარიელ ტარიელათ დარჩენილი მოსკოვის სალონიკები ახლა მსოფლიო თავდაუსხმელობის პაქტზე და ნაციათა ლიგაში თავის შეფარებაზე ოცნებობენ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ აქაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდებათ.

ყველა პირობებში საბჭოთა ხელისუფლება განმარტოვებული რჩება, როგორც შინ, ისე გარეთ. წყალ-წაღებულს ხავსი ვერ იხსნის. კომუნისტური ხელისუფლება ვერ იხსნის საბჭოთა კავშირში შემო-

ვალ ხალხების ტერიტორიის მადანე მოსულ მეზობლების დატაცებისაგან.

ამ ხელისუფლების დროზე ჩამოგდება, ცხებთ ქცეულ კავშირში მოქცეულ ერების განთავისუფლება და ამ თავისუფალ ერთა თავდაცვითი კავშირი, დამყარებული სრულ თანასწორობაზე და ურთიერთის სახელმწიფოებრივ სუვერენობის პატივისცემაზე—აი ერთად ერთი საშვალეა იმპერიალისტურათ განწყობილ მეზობლების მადის დასაოკებლათ.

ბ. ა.

უცხოეთის მიმოხილვა.

სამი დქმი.

რომში ხელი მოაწერეს სამ ოქმს იტალიის, ავსტრიის და უნგრეთის პრემიერებმა, და ამ ამბავს წინ უძღოდა დიდი ზეიმები. რას შეიცავს ეს ოქმები? ერთგვარ ეკონომიურ და პოლიტიკურ ბლოკს, რომლის ძალით სამი სახელმწიფო ერთმანეთს პირდებიან საბაჟო შეღავათებს და მჭიდრო თანამშრომლობას საერთაშორისო ასპარეზზე. მაისში სათანადო ხელშეკრულებანი უნდა იქნენ დადებული, ხოლო პოლიტიკურ საკითხებზე, სანამ ისინი დაისმებოდენ ენევაში თუ სხვაგან, სამი მთავრობა წინასწარ ითათბირებენ და გამოიმუშავენ შეთანხმებულ ხაზს. ოქმებში ნახსენებია თვითეულის დამოუკიდებლობის დაცვა და გულისხმობენ, რა თქმა უნდა, ავსტრიას, რომელიც, დამოუკიდებლობის მთავარ საყუდარის სოციალდემოკრატიის დამარცხების შემდეგ, პირისპირ დარჩა გერმანიის წინ და საკუთარის ძალით უძღურია დაიცვას თავისი არსებობა. უნგრეთი თავს იკავებს ალტაცებისაგან, რადგან ოქმებში არაფერია ნათქვამი ვერსალის საზღვრების გადასინჯვაზე, რომელიც, თუ იტყოდენ, დაასუსტებდა ავსტრიას, რადგან მისი ხელუხლებლობა იმავე ვერსალის პრინციპია.

ამ რიგათ, მცირე ანტანტას (ჩეხოსლოვაკია-რუმინია-იუგოსლავია), საფრანგეთის მეთაურობით, უპირდაპირდება სამთა ბლოკი, რომელთაგან იტალია მეთაურია. როგორია მესამე დიდი სახელმწიფოს, გერმანიის როლი? ის თითქო გამორიცხულია ამ კომბინაციებიდან, არა ნაკლებ დანტერესებული ის თითქო სათვალავში არაა, ან უკეთ—მის წინააღმდეგ აღმართეს ეს კედლები. საერთაშორისო მდინარედ ქცეულ დუნაის ხუთი სახელმწიფო დაყოფილია ორ ბანაკად: გამარჯვებულნი და დამარცხებულნი, ამიტომ შეთანხმება ისედაც მეტათ გაძნელებულია, მაგრამ ამას ერთვის უარესი სიძნელე: დიდ სახელმწიფოების ქიშკობა გავლენისთვის.

რა შედეგი უნდა ექნეს ამ ერთი მეორის მოწინააღმდეგე მიდრეკილებებს, ძნელი გამოსაცნობია, ყველაზე უარესი ომია. და ეს კი თითქო არც ერთს სურს ჯერ-ჯერობით, თუმცა ნებით თუ უნებლიეთ ხელს უწყობენ მას. ტყუილია არ ნანობენ ინგლისსა და საფრანგეთში ძველი ავსტრო უნგრეთის მონარქიის დანგრევას, იგონებენ ერთი დიპლომატის ნათქვამს: რომ არ გაჩენილიყო, ჩვენ თვითონ უნდა გავ-



ვეჩინა ავსტრო-უნგრეთით. ამ დღეებში გარდაცვლილ სიქსტ ბურბონის საფლავზედ ცრემლიც კი დაღვარეს იმის გამო, რომ მიცვალებულის მოციქულობამ მის სიძესა—იმპერატორ კარლ—და ანტანტას შორის არ გასჭრა სეპარატიულ ზავის ჩამოსაგდებათ.

ამით აიხსნება, სხვათა შორის, ჰაბსბურგელთა მახანდის აწევა ამ უკანასკნელათ. წონასწორობის აღსადგენათ ცენტრალურ ევროპაში იტალია მზათაა მხარი დაუჭიროს ოტო ჰაბსბურგის ავსტრო-უნგრეთის ტახტზედ დასმას. მცირე ანტანტი გადაჭრილ წინაღმდეგაა ამისი, აქედან საფრანგეთიც. გერმანიის უარყოფითი პოზიცია ისედაც ცხადია, მთლიან ავსტრო-უნგრეთის აღდგენა შეიძლება მისაღები ყოფილიყო მისთვის, ნაწილობრივის არა.

გ ს ტ ო ნ ი ა.

უეცრათ პატარა ესტონიამაც მიიპყრო ევროპის ყურადღება. იქ მოხდა ნაზების შეთქმულობა, რომელიც ჩქარა ჩააქრო რესპუბლიკის ხელისუფლებამ. საჭირო შეიქნა სააღყო წესების გამოცხადება და სამხედრო ძალების სარდლის განსაკუთრებული უფლებით აღჭურვა. ცხადია, შეთქმულობის სათავეში იყვნენ ადგილობრივი გერმანელნი, უკმაყოფილონი ადრინდელი პრივილეგიების დაკარგვით და შეგუწლიანებულნი მათი ძველი სამშობლოს ამბებით. ამბობენ, შეთქმულობაში ჩათრეულ იყვნენ ყოფილნი მხედარნი. განსაკუთრებით ოფიცრები, მაგრამ თვით რევოლუციური ჯარი და ოფიცრობა არსებულ რეჟიმის ერთგული დარჩენ და მით გადატრიალების ცდა დამარცხდა.

საგულისხმევრია პატარა ესტონიის ისტორია დღიდან მისი განთავისუფლებისა. საუკუნოები ეს ქვეყანა ხან ტევტონების, ხან შვედების, ხან რუსების მონობის ქვეშ იყვნენ; ხოლო დიდი ომისა და რევოლუციის შემდეგ ის აცხადებს დამოუკიდებლობას და არაჩვეულებრივი თავდადებით იცავს მას. მცხოვრებთა რიცხვი ერთ მილიონზე ცოტა მეტია. დიდი უმრავლესობა ფრიად მუყიათი გლეხობა, და უნდა ითქვას, ნამდვილი გლეხური სიმტკიცით დარაჯობს ის თავის სახელმწიფოებრივ არსებობას. მან შესძლო 1919 წელს გენერალ ფონ დერგოლცის მოხალისე ჯარი მოეშორებინა თავიდან, ხოლო რუსეთიდან შემოსეულ წითელ ჯართან მას ნამდვილი ომი ჰქონდა და დიდი ვაჟაკობისა და მსხვერპლის მეოხებით მტერი მოიგერია და განდევნა თავის მიწა-წყლიდან. ამ რამდენსამე წლის წინ მოსკოვის საიდუმლო აგენტებმა სცადეს ესტონიის შიგნიდან აფეთქება, მაგრამ მთავრობამ დაასწრო და სასტიკათ დაამარცხა მათი შეგნებულათ თუ შეუგნებლათ ამჟღინი. ესლანდელი შეთქმულობა მარჯვნიდან მოუწყვეს მას და აქაც გამარჯვებული გამოვიდა.

რას ამოკიცებს ყველა ეს? იმას, რომ პატარა ქვეყანას შეუძლია თავის თავის დაცვა, თუ მცხოვრებნი საკმაოდ გამსუვალული არიან ეროვნული თავგანწირვის გრძნობით და სათანადო სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეუქმნიათ. ესტონიამ ნათლათ აჩვენა ევროპას ერთიცა და მეორეც, ამიტომ

სწორეთ ღირსია მისი ყურადღების და მისაბაძიც ბევრი სხვა პატარა ქვეყნისთვის.

ტრავაისტების გამარჯვება.

ლონდონის საგრაფოს არჩევნებში ტრავაისტებმა გამარჯვეს და მით მსოფლიოში უდიდესი ქალაქი მიდამოებით, რვა მილიონ მცხოვრებთა თვითმართველობა ხელთ იგდეს. ასეთი რამ არ ახლავს ლონდონის მატინეს, იქ გაბატონებული იყვნენ ჯერობით კონსერვატორები და ლიბერალები. უკანასკნელ წლებში ბატონ-პატრონი კონსერვატორები იყვნენ, მათ მისდევდენ ტრავაისტები და შემდეგ ლიბერალები. ესლანდელ არჩევნებში უკანასკნელნი მთლათ გაჭრენ, ვერც ერთი ხმოსანი ვერ გიიყვანეს, ხოლო კონსერვატორებმა პირველი ადგილი ტრავაისტებს დაუთმეს. ამ რიგათ, აღსდგა ტრადიციული ორპარტიობა იმ განსხვავებით, რომ ლიბერალები ტრავაისტებმა შესცვალეს.

რვა მილიონ მცხოვრებთა თვითმართველობა თავის ბიუჯეტით ბევრ პატარა სახელმწიფოს შესაძლებლობას აღემატება, მაგრამ, როცა გავლენებთ, რომ აქ ლაპარაკია ლონდონზე, სადაც მუშათა პარტია უთუოთ ეცდება თავისი დაპირებანი გაანადღოს, არჩევნებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა არა მარტო ინგლისისთვის, არამედ ევროპისთვისაც. ბევრი ფიქრობს, ალბათ სამართლიანათ, ესლა რომ საპარლამენტო არჩევნები მოხდეს ინგლისში, იგივე შედეგი ექნებოდა მას.

მაკდონალდის «ნაციონალურ» მთავრობას თითქო არ დაუმსახურებია ასეთი ბედი; გირვანქის დაცემის შეჩერება, საბიუჯეტო წინასწორობა, ეკონომიურ კრიზისის შერბილება და უმუშევართა რიცხვის დაკლება თითქო მომასწავებელი იყო მისი სიმტკიცის. მაგრამ მუშათა კლასი, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენს, არ სჯერდება ამ მიღწევებს და ეძებს ახალ გზებს. ბევრი იწერება ამ უამად, ბევრი ახალი თეორიები ითხზება მუშათა პარტიის წრეებში მომავალ განვითარების ვეზზე. საინტერესოა, არის ისეთი გეზიც, რომელიც ერთგვარ დიქტატურისკენ მიიწევს, ხელისუფლების დაპყრობის უმალ, მაგრამ დიდი უმრავლესობა მტკიცეთ სდგას დემოკრატიულ ნიადაგზედ და დღის წესრიგში აყენებს თანდათანობით სოციალურ გარდაქმნას. ეს აიხსნება იმით, რომ ინგლისის მუშათა პარტიის დედა-ბოძი ტრედ უნიონიზმია, ცნობილი თავისი ზომიერებით და პრაქტიზმით.

ფაშინის და ჰიტლერის მისი გაძლიერებას ევროპაში აქვს, ცხადია, გავლენა ინგლისის ამბებზე. იქ ჯერ კიდევ კონსერვატორები თითქო დემოკრატიზმის და პარლამენტიზმის ერთგული რჩებიან, მაგრამ არავინ იცის, რა გავლენას იქონიებს მათ აზროვნებაზე ლონდონის არჩევნები, რომელიც ემუქრება მათ ბატონობას. სხვა არ იყოს რა, მარტო საქვეყნო ნაქები «სიტის», სადაც დაგროვილია მთელი მსოფლიოს სავაჭრო და საფინანსო ძალები, უთუოთ საგონებელშია ჩავარდნილი. ნუ დაივიწყებთ, შავ პერანგიანების მოძრაობაც, სერ მონლეის მეთაურობით, უკვე მზათაა მიიღოს ისეთიერი დანებება მისგან,

რომ მოიპოვოს უკმაყოფილო მასებში თანაგრძნობა გადატრიალებისათვის.

ყოველ შემთხვევაში, ეს წუთი ჯერ შორსაა, მოსალოდნელია, ანგლო-საქსების განვითარება სხვა გზით წავიდეს და რადგან ევროპაზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთი მაინც უნდა ითქვას: ლონდონმა რევანში აიღო ვენაზე.

წერილი აშხარიძეს

არავისთვის სადავო არ არის, რომ შორეულ აღმოსავლეთის მდგომარეობა ჩვენთვის მეტის მეტი საინტერესო და საყურადღებოა. ამიტომ ჩვენ გულმოდგინეთ ვსწავლობთ იმას, რაც ითქმის და იჭრება აქ, რადგან შეერთებული შტატები, რუსეთ-იაპონიის მერე, სხვებზე უფრო ახლო დგანან და მათი პოზიცია მნიშვნელოვანია. ერთ რამეს გვინდა ხაზი გაუსვათ: ჩვენ სრულებით სურვილი არა გვაქვს ვსწეროთ მხოლოდ წერისთვის, მოვალედ მიგვაჩნია თავი ჩვენი აქ ყოფნით ვისარგებლოთ და ჩვენ მკითხველს შეძლების დავგვარად სწორი ცნობები მივაწოდოთ. ჩვენ არ ვეძებთ სენსაციას, ან არ ვეყრდნობით ღინმე უცოდინარს, ან ძალის არ მქონე აზრებს. მასთან ჩვენ ვცდილობთ წყარო ჩვენი საბუთებისა და მსჯელობისა მკითხველს ვაჩვენოთ.

იაპონიის და საბჭოების პასუხისმგებელ პირებმა აშკარად განაცხადეს, რომ ომი მათ შუა მოსალოდნელია. სამხედრო კომისარმა ვორთმილოვმა თავის სიტყვაში, მეჩვიდმეტე კონგრესზე, განაცხადა, რომ შორეულ აღმოსავლეთში ცა ისე მოღრუბლულია, შესაძლებელია მენი გავარდესო და სიტყვა ილიჩის სულის ხსენებით და სურვილებით დაამთავრა: ვლადივასტოკი. მიუხედავად სიმორისა, მუდამ ჩვენი. და მის მერე, როცა თვითეულმა კომუნისტმა განიმეორა სტალინის სიტყვები ერთი გოჯ მიწასაც არ დავთმობთო, იაპონიის ოფიციალურებმაც უპასუხეს ჩვენც არ დავიხვეთო. მაგალითად, ლენინალი ეიკი ტოჯომ (იაპონიის სამხედრო სამინისტროდან) მოათავსა წერილი «იოროზუ»-ში, «ნიუორკ ჰერალდ ტრიბუნის» ვადმოცემით, 8 თებერვლისა, რომ იაპონიის ექსპანსია აზიაში გადაწყვეტილი მიზანი არისო, ამისთვის იაპონია ერთა ლიგიდან გამოვიდა და ჩვენი პოზიციიდან ერთ გოჯსაც არ დავიხვეთო.

ასე რომ, თუ არც ერთმა არ დათმო, რასაკვირველია. შედეგი «მეხის გავარდნა» იქნება. და თუ ეს მოხდა როგორი არის ამ ორ მოპიოდაპირეს შედარებითი ძალთა განწყობილება? ამის გასაშუქებლად საყურადღებო წერილი არის დაბეჭდილი 4 თებერვლის «ნიუიორკ ამერიკენში». ამ დღიურ განვთს აქვს ერთ მილიონზე მეტი ტირაჟი. გამომცემელი არის ამერიკის გარედაც ცნობილი ვ. რ. კირსტი. წერილის ავტორი არის ლენინალი ჰერნი რეილი. განვთის აზრით, ის არის სამხედრო ექსპერტი და ავტორიტეტი შორეულ აღმოსავლეთის კითხვებში. თავის წერილს რეილი იწყებს ასეთი კითხვით: «აქვს თუ არა რუსეთს სამყოფი სამხედრო ძალა, რომ და-

აუქმუროს ისპონიის ძალა, რომელიც თანდათან იზრდება შორეულ აღმოსავლეთში, და მით შეაჩეროს იაპონიის იმპერია ამერიკასან შეტაკებისგან?»

ამაზე ლენინალი უპასუხებს, რომ რუსეთს ეს ძალა თითქო უნდა ჰქონოდა და ეს იყო ერთ ერთ არგუმენტად ნახმარი შეერთებულ შტატების მთავრობის მიერ საბჭოების ცნობისათვის.

ნამდვილად აქვს თუ არა ეს ძალა რუსეთს? ეს კითხვა უფრო ხშირად ისმება ახლა ვაშინგტონში, რადგან ამაზე დამოკიდებული იაპონიის მოქმედება. თუ ნამდვილად რუსეთი არის ისე ღონიერი, რომ საშიშო იქნება იაპონიისთვის—შორეულ აღმოსავლეთში იქნება სიწყნარე; თუ არ არის—იაპონიის არ იყოყმანებს რუსეთთან ომს, რადგან ახლა არის დრო. როცა საერთაშორისო სამხედრო და პოლიტიკური სიტუაცია მეტად ხელსაყრელია იაპონიისთვის და არა სასარგებლო რუსეთისთვის.

მერე ლენინალი რეილი აღწერს იაპონიის უპირატეს მდგომარეობას, რომლის უმთავრესი არის ორიო. პირველი: მთელი დედა-მიწის ზურგზე საუკეთესოდ დაყენებული დახვეწვა იაპონიის აქვსო. იაპონიამ იცის დანამდვილებით არამც თუ მთელი რუსეთის სამხედრო საქმის ვითარება, არამედ პირდაპირ ზიანიც შეუძლია ომის დროს მიაცივოსო. მაგალითად, 1905 წ. რუს-იაპონიის ომის დროს, მეორე დღე ვცხოვრობდი ერთ იაპონელთან, რომელიც ჩინელი მეგობარა. ამ იაპონელს თმა ქონდა გზილი ჩინელივით და იყო წინამძღოლი ჩინელების ირეველარებისა და დიდძალი ზიანი ქონდა მიყენებული რუსისთვის ხიდების, სადგურების და რკინის გზის ლიანდაის დანგრევითაო. იმისთანა დახელოვნებული და გაწრთენილი ათასობით უფროსობდენ მაშინ მრგვალებს და მანჯურიელებს რუსების წინააღმდეგო. მეორე უპირატესობა იაპონელების ის არის, რომ მათი ჯარის და ფლოტის უფროსები, კონსტიტუციის ძალით, პირდაპირ მეფეს უკეთებენ მოხსენებას და ამიტომ პოლიტიკოსების გავლენა მათზე არსებობს.

- მერე ლენინალი სვამს ოთხ კითხვას:
 1. ყავს თუ არა რუსეთს დღეს უკეთესი ჯარი, ვიდრე მას ყავდა 1904-5 წლებში?
 2. გააუმჯობესა თუ არა რუსეთმა იმდენად თავისი რკინის გზა და სხვა საშვალეება ტრანსპორტისა, რომ ჯარი, სურსათი და ამუნიცია მიაწოდოს შორეულ აღმოსავლეთში საჭიროებოსადმი და მით საშიშ მდგომარეობაში ჩაავდოს იაპონია?
 3. შეუძლია რუსეთს დარწმუნებული იყოს, რომ მას არ მოეღოს საშიშო რა ევროპიელ და შუა აზიის დიდი სახელმწიფოებიდან და ამით მთელი ძალა გადაიტანოს შორეულ აღმოსავლეთში?
 - და 4. დაუჭერს თუ არა რუსეთის ხალხი მხარს თავის მთავრობას, თუ აჯანყდება, ისე როგორც ეს იყო რუს იაპონიის და 1914-18 წ.წ. ომების დროს?
- ამ კითხვებზე ასეთ პასუხს იძლევა:
- პირველი კითხვა. რას წარმოადგენს დღეს რუსის ჯარი, დიდი კითხვა არისო. სხვადასხვა თითქო საიმედო წყაროებიდან ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები. თუ რუსეთმა შესძლო ამ ხუთმეტი წლის



განმავლობაში შეექმნა ისეთი სალი კადრი ოფიცრებისა, რომელიც უდრიდეს იაპონელებისას—მამინ მას უქნია ისეთი რამ, რომელიც არ მიღწეულა ჯერ ისტორიაშიო. საერთო რწმენა არის, რომ რუსეთის აფიცრობა ვერ შეედრება იაპონიის აფიცრობასო.

მეორე კითხვას ვრცლად არჩევს, იმას ჩვენ მოკლედ მოვიყვანთ: რუსეთის ფლოტი ისეთი უფარგისია, რომ თითქო არ არსებობს პრაქტიკულად იაპონიის ომისთვისო. თუ რამე არის ვლადივასტოკის ნავთსადგურში, იმას იაპონია თავიდან მინებით ჩაკეტავსო. რაც შეეხება ჰაეროპლანებს, ამაზე ცოტა გახვიადებული და გაურკვეველი წარმოდგენა არისო, თითქო რუსეთს შეეძლოს დაეცეს იაპონიის კუნძულებს და ზიანი მოუტანოსო. ერთი რამ ცხადია—იაპონიას შეუძლია მანჯურია ჰაეროპლანების ბაზად განადოს და ამ ცენტრალურ ადგილიდან რუსების მნიშვნელოვანი სამხედრო ბანაკები დაარბიოს ვლადივასტოკიდან მოკიდებული ბაიკალამდო. და სარკაზმით უმატებს: «მანც გასაკვირი არ იქნება, რომ რუსეთმა ჯარის გადმოყვანა შესძლოს—ჩინგიზ ხანმაც ფეხით და ცხენით გაიარა ასეთი მანძილი ევროპისა და აზიისა. იაპონიას კი შეუძლია ისე ჩქარა გადმოიყვანოს მილიონზე მეტი ჯარი მანჯურიაში, რომ რუსეთი ვერც კი მოასწრებს ხელის შეშლას».

მესამე. 1904-5 წწ. რუსეთს ეშინოდა თავის აქვს-ზობლებსა ევროპაში. დღეს კი მას პაქტები შეეს დადებული. გარდა ინგლისისა და ჩინეთთანა. მაგრამ, როცა ომი დაიწყება, პაქტები არაფერს ნიშნავსო. არ ვიცით, ინგლისი, რუსეთის ეს ძველი მტერი, დაუჭერს იაპონიას მხარს, როგორც ეს იყო 1904-5 წწ., თუ დარჩება ნეიტრალურიო.

აგრეთვე არაფერი შეგვიძლია ვთქვათ მეოთხე კითხვაზე, აჯანყდება რუსის ხალხი, როცა ომი მაგრად გაჩაღდება, თუ არა «მოსყიდული» ბოლშევიკებითო. ყოველ შემთხვევაში, ტყუილია ტროცკის უკანასკნელი აზრი თითქო იაპონიაში მოხდება რევილიუციაო. ვინც იცნობს იაპონიის გლეხობას და მეთევზეებს, რომლიდან შესდგება იაპონიის ჯარი, იმისთვის ცხადია, რომ ერთი მუჟა იაპონიის საზღვარ გარედ გაზდილი ინტელიგენტებისა და სტუდენტებისა ვერ იქონიებს ვერავითარ გავლენასო.

«ნიუორკ ტაიმს» თავის მოწინავე წერილში (1 თებერვლის) ამბობს, რომ, ვაშინგტონის ექსპერტების აზრით, ომი რუსეთს და იაპონიას შორის აუცილებელიაო. მხოლოდ კითხვა დარჩება—როდის დაიწყებაო. უმეტესობა იმ აზრისაა, რომ შესაძლებელია იაპონიამ ადრე დაჰკრას, ვიდრე რუსეთი მოასწრებს ციმბირში მეორე რკინის გზის გაყვანასო. ეს უკანასკნელი პბადებს კითხვას მოსკოვის ნაციონალურ მშენებლების გეგმა ჰკვიანი იყო თუ არაო. მაგალითად, რა საჭირო იყო ინდუსტრიისთვის ელექტრონის დეპოების აღსაშენებლად ამდენი ხარჯის გაწევა, რომელიც შეიძლება 20 წლის მერე გამოდგესო. ან თურქესტანის გზა, ან თეთრი და ბალტიის ზღვების შუა აზხი, რომელზედაც 250.000 კაცი მუშაობდაო. «რუსეთი ელოდა მტერს ევროპიდან და ახლა უბედურებამ თავი იჩინა იქ, სადაც მეფის რუსეთის უბედურება იყო—მანჯურიაში და მის მიდამოებშიო».

ამერიკის პოზიციაზე ცნობები, რასაკვირველია, ძალიან ფრთხილადაა. აი პატარა ცნობა ვაშინგტონიდან ემბარგოზე: «ალბათ შეეცდებიან იაპონიის მოწინააღმდეგენი გაიყვანონ რეზოლიუცია, რომელიც მიანიჭებს პრეზიდენტ რუზველტს უფლებას გამოაცხადოს ცალმხრივი ემბარგო იარაღის ვაჭარისა. მაგრამ ეს არ გავა, რადგან მთავრობა წინააღმდეგია ამისა. თუ უცხო ქვეყნები დაადგენ ომის გზას, შეერთებული შტატები აპირებენ ერთნაირი დამოკიდებულება იქონიონ ორივესთან».

ყველას მოეხსენება, რამდენი იმედებს ამყარებს მოსკოვი ამერიკაზე (თუმცა ძალიან უსაბუთოდ). ამ უკანასკნელის მიერ რუსეთის ცნობამ ლიტვიოვს ჯილდოთ ცეკაში ამოაყოფინა თავი. მაგრამ შეუძლიათ კომუნისტებს დაიცვან ამერიკასთან მეგობრული დამოკიდებულობა და არ განიმეორონ აქაც ის, რაც მათ ჩაიდინეს სხვაგან?

ამის პასუხს ამერიკის პრესაში ვხედავთ. ზევით ხსენებულ «ნიუორკ ამერიკენ» ის 25 თებერვლის ნომერში პირველ გვერდზე აქვეყნებს დიდ წერილს (რომლის გაგრძელება მომავალ კვირაში იქნება) ასეთი სათაურით «კომუნისტები ხრწნიან შეერთებულ შტატების სკოლებს, სთესავენ აჯანყების თესლს». წერილი არის შედგეი «ნაციონალურ მოქალაქეთა ფედერაციის» გამოძიებისა. ეს საზოგადოება დაარსებულია 1900 წელში და შესდგება მოწინავე ამერიკელებისაგან. ამის საპატიო თავმჯდომარედ იყო ისეთი პიროვნება, როგორცაა ელიჰუ რუთი, ჰაავის საერთაშორისო სამსაჯულოს წევრი, რადგან აქაურ მთავრობას არა აქვს განსაკუთრებული დაწესებულება, არც გადადებული განსაკუთრებული თანხა, ამ საზოგადოებას აუღია თავის თავზე და გამოუძიებია კომუნისტების მოქმედება შეერთებულ შტატებში, განსაკუთრებით სკოლებში და უნივერსიტეტებში. გახერთმი მოყვანილია დოკუმენტების ფაქისმილე, დამოკიდებულება მრეწველობაში ჩამულ კომუნისტების სხვადასხვა უნივერსიტეტებთან და სხვა... «ამ სტუდენტებს ასწავლიან მიზანს, პროგრამას მეთოდს და ტაქტიკას, რომელიც შედგენილია მესამე ინტერნაციონალის მიერ, რომლის ცენტრი არის მოსკოვი».

შორს წაგვიყვანს ამ «შეთქმულობის», როგორც განეთი უწოდებს, შინაარსის გადმოცემა. მოვიყვანთ მხოლოდ წერილს, «ნიუორკ ჰერალდ-ტრიბუნის» გადმოცემით, რომელიც ამ საზოგადოების სახელით მის პრეზიდენტმა მათე ვოლმა გაუგზავნა საგარეო საქმეთა მინისტრს კორდელ ჰოლსს (მათე ვოლი არის გამოჩენილი მუშათა წინამძღოლი, მის ბიოგრაფიას საპატიო ადგილი უჭირავს ამერიკის ენციკლოპედიაში «ვინ რა არის ამერიკაში»). ის არის წევრი მეცნიერულ-პოლიტიკურ აკადემიისა; პრეზიდენტის თანაშემწე ამერიკის მუშათა ფედერაციისა; პრეზიდენტი ინტერნაციონალურ პრესისა ამერიკაში; დირექტორი მუშათა ბანკისა და პრეზიდენტი ან დირექტორი ათზე მეტი სხვადასხვა დაწესებულებებისა). სხვათა შორის მ. ვოლი წერილში ასე ამბობს: «მეტი არ იქნება ვთხოვთ ჩვენ მთავრობას—შეკითხვა გაუგზავნოს საბჭოების მთავრობას, რომ

მათ მიერ ზეიმით მოცემული აღთქმა წმინდათა დაცულ იქნას, თუ არა და შესწყდეს ყოველნაირი დამოკიდებულება მათთან, სანამ ეს აღთქმა დაცული არ იქნება». ბ. ვოლი აღნიშნავს რა რუსეთის მიერ მიცემულ დაპირებას რუხველტისადმი, როცა გასულ წლებებში საბჭოები იქნენ ცნობილი, რომ კომუნისტური პროპაგანდა რუსეთის მიერ შეწყდებოდა და განაცხადებს: «მაგრამ იმ დროიდან მოწოდებები, პროკოპაციები, ინსტრუქციები და რეზოლიუციები, გამოსული მოსკოვიდან და უხეშად, ურცხვით დაბეჭდილნი მათ ოფიციალურ ორგანოში «ტვე დეილი ვორკერ»-ში ამჟღავნებენ გასაოცარ ფაქტს, რომ არავითარი ცდა არ უქნია გაემართლებია მოცემული აღთქმა».

ამერიკელს უყვირს, ჩვენ კი მწარე გამოცდილებიდან ვიცით მორიგისი ჩვეულება—არ შეუძლია მოითმინოს, რასაც დააჯდება უნდა უკბინოს. მაგრამ ვაი თუ, განსაცდელის დროს ამერიკამ კუსავით ჩაიყურყუმალოს და საბჭოები წყალს მისცეს.

სულ სხვანაირია იაპონელების პოლიტიკა. ხანდახან წარმოატყმული ვინმე პასუხისმგებელი იაპონელის მაგარი სიტყვა ამერიკის გასაგონად არ წაგავს რუსეთის კომუნისტების ისტერიულ სიტყვას (ღენერალ ბრიუნიერის სიტყვას იაპონელებმა «შეშინებულის» სიტყვა უწოდეს). იაპონია თავის ძალას გრძნობს და ამავ დინჯს ლაპარაკობს ამერიკის საყურადღებოდ. მასთან ერთად არწმუნებს, რომ მათ შორის ისეთი კითხვა არ დაიბადება, რომლის გადაჭრა მეგობრულად არ შეიძლებოდა და ამისთვის ნაბიჯსაც სდგამს. აი მაგალითად «ნიუორკის ტაიმს» ატყობინებენ ტოკიოდან, რომ ამერიკაში ელჩად ნამყოფმა კატრუჯი დებუჩიმ მიმართა სიტყვით იაპონია-ამერიკელ კომერციულ საზოგადოებას, რომელშიც მოუწოდა ამერიკელ კომერსანტებს, რომ გაეფართოებინათ იაპონელებთან ერთად თავისი ვაჭრობა აზიაში. ამას ახალმა ელჩმა პირში საიტომ აქ ჩამოსვლისას დაუმატა «ფილიპინის კუნძულები ჩვენ არ გვინდა—ისენი ძვირად უჯდება ამერიკას და არაა ხელსაყრელი ჩვენი დარიბი ქვეყნისათვის». თუ ამას მიუმატებთ უკანასკნელ ცნობას ტოკიოდან, რომ იაპონიის მართველებს აზრად აქვთ გაყონ წყნარი ოკეანე ორად: ერთი მხარე ამერიკის გავლენით, მეორე იაპონიისა—დავინახავთ უკანასკნელის მეცადინეობას—დაიცვას კარგი განწყობილება შეერთებულ შტატებთან. ასეთ ცდას არ ვხედავთ რუს-იაპონიის შუა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მხოლოდ ცალმხრივ, მოსკოვის მიერ ძალაუნებურად შორეულ აღმოსავლეთის კითხვებში თანდათან დათმობას და დახვევას.

ნაუბი.

ქართული კონცერტები ნანსში

«Cycle de Geographie Musicale»—ასეთია ის ახალი მიმართულება მუსიკაში, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი მკვლევარი გიორგი დე-ჟირონკური. უკანასკნელის მეთაურობით და ხელმძღვანელო-

ბით მიმდინარე წლის მარტში გაიმართა ოთხი ქართული კონცერტი: ორი ქ. ნანსში და ორი შალონში.

ჩვენი თანამემამულე გ. გუჩმაძის მეცადინეობით ბნი დე-ჟირონკური დაინტერესდა საქართველოთი და მისი მუსიკით; იგი იანვარში დაუკავშირდა ქართულ ოფისს და სთხოვა მას დახმარება აღმოეჩინა განზრახვულ ქართულ მუსიკალურ კონცერტების მოწყობაში. ოფისი დიდის მადლობით შეხვდა დე-ჟირონკურის ინიციატივას და დანიშნულ დროისთვის გაამგზავრა ნანსში ქართული ხორო პ. მოსულიშვილის და ნ. ხოჭოლავას ხელმძღვანელობით.

ოთხივე კონცერტს წინ უძღოდა ბნი დე-ჟირონკურის შესავალი სიტყვა, რომელშიაც მან უამბო დამსწრეთ საქართველოს წარსულზე და მის მწარე ამყობზე, გააცნო მისი სულიერი და ნივთიერი კულტურა, თავისებურება და ვრცლად შეჩერდა ქართველი ხალხის მუსიკალურ უნარზე.

პირელი კონცერტი მოწყობილი იქნა 3 მარტს ნაშუადღევს, რომელსაც დაესწრენ 38 სასწავლებლის მოსწავლენი თავიანთ მასწავლებელ-პროფესორებით და მშობლებით. ქართულმა ხორამ და ქართულმა ცეკვამ (მოცეკვავენად იყვნენ ი. და თ. გომართლები, გედევანიშვილი და წილოხანი) ისეთ აღფრთოვანებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება, რომ ავაციებდა და «საქართველოს გაუმარჯოს» ძახილს ბოლო არ ქონდა.

მეორე კონცერტს, რომელიც იმავე დღეს საღამოს გაიმართა, დაესწრო დიდძალი საზოგადოება, მათ შორის მთავრობის ადგილობრივი უმაღლესი წარმომადგენლები, ქალაქის თავი მისი ამხანაგით, აკადემიისა და უნივერსიტეტების პროფესორები და მრავალი სხვა. საზოგადოებამ აღფრთოვანებით მოისმინა როგორც ქართული ჰიმნი «დიდება», «მრავალ ქამიერ», «სამშობლო», ისე სხვა ქართული სიმღერები, რომელიც მეტად მოხდენილად და დიდის ანსაბლით შეასრულა ქართულმა ხორამ. ასეთივე მოწონება ხვდა ლეკურის მოცეკვავეთ. საღამოს დასრულებისას გულმხურვალე მადლობა გამოუცხადეს ხოროს და მოცეკვავეთ დე-ჟირონკურმა, პროფესორებმა და სკოლების ინსპექციამ. საზოგადოება მეტად ნასიამოვნები დაიშალა.

ასეთივე წარმატებითა და ენთუზიაზმით ჩატარდა შალონის ორი კონცერტიც. აქაც დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო, რომელიც «გაუმარჯოს საქართველოს» ძახილით ხვდებოდა ყოველ ნომერს.

ქართული ფესტივალები დიდის ქებითა და თანაგრძნობით აღნიშნა ადგილობრივმა პრესამ. ერთი მათგანი («ლ' ეკლერ დე ლესუ») სხვათა შორის სწერს: ქართული პოლიფონური სიმღერები გასაოცარი ნიმუშებია ქართველთა და ბასკთა ნათესავების. მომხიბლავია მათი ჰარმონიების სიკვადე, თავისებურება fa, sibemol-ის, ხმარება. სეპტიმარი, რომელიც მუდამ გვხვდება როგორც ძველი იბერების ჩამომავლების (კავკასია და პირენეები) ისე მატრიარხატის პრიმიტიულ რასების (უკეანეთი) სიმღერებში. საეკლესიო სავალობლები, იავანა, ხალხური რომანსები, მსგავსი ბასკურისა, მრავალ ქამიერი პირდაპირ წარმტაცი იყო».



შემდეგ გაზეთი სათითაოდ ჩამოთვლის ხორაში მონაწილეთ, აგვიწერს მათ მშენიერს ტიპს, ლამაზს ქართულ ჩაცმულობას და განსაკუთრებით აღნიშნავს ქართველ მოცეკვავეთა მიერ შესრულებულს ლეკურს, რომელიც გაზეთის სიტყვით მეტად დამახასიათებელია საქართველოსი და იმავე დროს არის «მეტად ნაზი და გრაციოზული».

ბ-ნ დე-ჟირონკურს განზრახვა აქვს ქართული კლასიკური თავის მოხსენებებით გამართოს საფრანგეთის სხვა ადგილებშიც.

დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი ჟირონკური—ჩვენი დიდი მეგობარი,—რომელმაც არ დაზოგა შრომა და მეცადინეობა გაეცნო თავის თანამემამულეთათვის ქართული მუსიკა; მადლობით უნდა მოვიხსენიოთ ყველა ჩვენი ადგილობრივი ფრანგი მეგობრები, რომლებმაც ხელი შეუწყვეს დე-ჟირონკურის ინიციატივას.

განი.

უკრაინელთა შორის

ლოვოის უკრაინულ პრესაში გამოქვეყნდა აღმოსავლეთ პალიტიკის და დიდი უკრაინეთის სოციალისტურ პარტიების ფრიად საყურადღებო დეკლარაცია. უკანასკნელი აღნიშნავს რომ უკრაინა განიცდის ისეთ კატასტროფას, რომლის მზგავსი მისმა ისტორიამ არა იცის რა, და დასძენს:

«უკრაინის სასოფლო მეურნეობა მოსკოვის პოლიტიკის წყალობით საშინლად განადგურებულია. მოსკოვიტების დიქტატურის ეკონომიურმა მოთხოვნებებმა გამოიწვია ახალი შიმშილობა, რომელიც მილიონობით ანადგურებს უკრაინელებს. დიდი უკრაინეთის მოსახლეობის სისტემატიურ მოსპობასთან ერთად კომუნისტური დიქტატურა შეუდგა ყველა კულტურულ და ეროვნულ მონაპოვართა ლიკვიდაციას. რუსული ნაციონალისტური რეჟიმი ხურავს უკრაინულ სკოლებს, ანგრევს მეცნიერულ და კულტურულ დაწესებულებებს, დევნის და ფიზიკურად ანადგურებს უკრაინულ კულტურის მოპირნახულეთ და სისტემატიურად ანხორციელებს ძველ რუსიფიკატორულ პოლიტიკას.

რომ დამალოს ნამდვილი მიზეზი თავისი სასტიკი პოლიტიკისა უკრაინაში, კომუნისტური ხელისუფლება ავრცელებს უცხოეთში ყალბ ხმებს, რომ თითქო უკრაინის ეროვნული მოძრაობა იყოს უცხოელ კაპიტალისტებისა და გერმანელ ფაშისტების «ინტრიგები».

ამ «ინტრიგების» დასამტკიცებლათ ბოლშევიკური ხელისუფლება მიმართავს ტერორისა და პროვოკაციის ჩვეულებრივ ფანდებს. «უკრაინის განმათავისუფლებელ კავშირის», მონაწილეთა გასამართლების შემდეგ, რომელსაც სათავეში ედგა ეფრემოვი, შემდეგ უკრაინელ სოციალისტების ათასობით დახვრეტისა, მოსკოვიტები შეუდგენ ახალ ვერავულ პროცესის მოწყობას წინააღმდეგ უკრაინელ კომუნისტებისა, რომელთა ერთად ერთი დანაშაული მოსკოვის მიმართ იმაში მდგომარეობს, რომ

ისინი ეკუთნიან უკრაინულ ეროვნებას. 1932 და 1933 წლების განმავლობაში მრავალი უკრაინელი კომუნისტი დაიღუპა ჩეკისტების ტყვიებით, პარტიიდან გამორიცხულთა რიცხვი ათასებს შეადგენს. უფრო ცნობილი და გამოჩენილი მათ შორის აიძულეს «ვამოატეხილიყვენ», რომ უკრაინელი კომუნისტები შეადგენენ «უცხო ინტერვენციის მთავარ დასაყრდნობ ძალას». ასე უხდის მოსკოვი იმ უკრაინელ კომუნისტებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს რუსის ჯარს უკრაინის ოკუპაციის მოხდენაში».

დეკლარაციის დასასრულში უკრაინელი სოციალისტები მკაცრ პროტესტს აცხადებენ საბჭოების მესვეურების წინააღმდეგ, რომლებიც სოციალისტურ პარტიებს ბრალს დებენ, თითქო მათ «ულაღატურ» უკრაინის მუშათა კლასს და გლეხობას. დეკლარაციის ავტორები გადაჭრით აცხადებენ, რომ ისინი არიან ერთგულნი როგორც დემოკრატიის და თავისუფლების პრინციპისა, აგრეთვე სოციალისტური რწმენისა.

დეკლარაცია ხაზს უსვამს აგრეთვე იმას, რომ უკრაინის ხალხს არ უნდა ქონდეს იმედი უცხოეთის ინტერვენციის და იგი უნდა ეყრდნობდეს თავის საკუთარ ძალებს. სოციალისტური პარტიები მოუწოდებენ უკრაინის მცხოვრებთ დარაზმონ ყველა თავისი ძალები უცხო უღლის გადასადგებათ, რომ ამ გზით მოიპოვონ თავისუფლება და ბედნიერება.

დეკლარაციაზე ხელი უწერიათ: უკრაინელ (გალიციის) სოციალ-რადიკალების პარტიას, უკრაინელ (გალიციის) სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, დიდი უკრაინეთის სოციალ-დემოკრატიებისა და სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიებს. დიდი უკრაინეთის სოც-დემოკრატიულ პარტიის სახელით ხელს აწერენ მ. მაზეპა—უკრაინის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე და პროფ. ფედენკო. აღსანიშნავია, რომ ეს სოციალისტური პარტიები შედიან მუშათა სოციალისტურ (მეორე) ინტერნაციონალში, რომელიც არ თანაუგრძნობს კომუნისტური რეჟიმის ასეთ მკაცრ კრიტიკას.

საბჭოთა ხელისუფლება განაგრძობს გააფთრებულ კომპანიას უკრაინის სეპარატიულ მოძრაობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას მეტაურობს განათლების ახალი კომისარია ზატონსკი. უკანასკნელმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა უკრაინის მეცნიერულ აკადემიის სესიაზე, რომელშიაც სასტიკათ გაილაშქრა უკრაინელ სეპარატისტების წინააღმდეგ.

სესია შეუდგა მეცნიერულ დაწესებულებათა სრულ რეორგანიზაციას; სხვათა შორის გადაწყდა მარქსიზმისა და ლენინიზმის კათედრის დაარსება. გამორიცხულ იქნენ მრავალი აკადემიკოსები, როგორც მტერნი საბჭოთა ხელისუფლებისა; მათ შორის არიან ვოზნიაკი, კოლესსა, რუდნიკი და სხ.

სხვათა შორის ზატონსკიმ მოახდინა მეცნიერულ ფაკულტეტის სრული რეორგანიზაცია. ამიერიდან უნივერსიტეტებში სწავლა იარსებებს რუსულ ენაზე.

ოთხი ათასზე მეტი უკრაინელი მასწავლებელი

დაითხოვეს სამსახურიდან; მათ ბრალი დადევს მოწაფეებისათვის პატრიოტული გრძნობების ჩანერგვაში; გადააყენეს მრავალ პედაგოგიურ ინსტიტუტების დირექტორები.

დახურეს ხარკოვის მეცნიერული ინსტიტუტი, რომლის სათავეში იდგა ცნობილი მეცნიერი ისტორიკოსი ბაგელი.

უკრაინის კომპარტიის მეთორმეტე ყრილობაზე ხარკოვში და შემდეგ საკავშირო კომპარტიის ყრილობაზე მოსკოვში წარმომთქმული სიტყვები ნათლათ ამტკიცებენ, რომ უკრაინის სეპარატიული მოძრაობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს მოსკოვისათვის. კრემლის სანოვნიკები იძულებული გახდნენ დაედასტურებიათ, რომ უკრაინის მოძრაობის მიზანს შეადგენს მოსკოვისაგან გამოყოფა.

უკრაინის კომპარტიის ახლანდელმა მდივანმა კასიოსმა განაცხადა, რომ უკრაინაში მდგომარეობა მეტად რთულია, რომ მტრულმა განწყობილებამ საბჭოთა ხელისუფლებისადმი უმაღლეს წერტილს მიადწია. «განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეროვნული დროშა; იგია ემბლემა, სიმბოლო ეროვნული ცხოვრებისა. ჩვენ გავუშვით მომენტი ნაციონალური გადახრისა, რომელსაც სათავეში ედგა სკრიპნიკი და მისი ნაციონალისტური ამაღლა. ნაციონალისტ კონტრ-რევოლუციონერებმა მოაწყვეს თავიანთი უჯრედები ყველა დაწესებულებებში და შეძვერნენ თვით პარტიაშიცო». ცხადია სეპარატიული მოძრაობა უკრაინაში ისე გაძლიერებულია, რომ მისი ძალა და გავლენა პანიკას იწვევს კრემლის ბატონთა შორის.

სხვა და სხვა ამბები

საბჭოთა რუსეთი და გერმანია.

ბოლშევიკები დიდ იმედებს ამყარებდნენ შეერთებულ შტატებზე. მოსკოვის ცნობა ვაშინგტონის მიერ გამოცხადებული იყო არა მარტო დიდ პოლიტიკურ მიღწევათ, არამედ დიდ ეკონომიურ სიკეთეთაც. მოსკოვი დარწმუნებული იყო, რომ შეერთებული შტატები უხვად მისცემენ ფულს და სავაჭრო კრედიტებს; ეგ იმედები სულ რამდენიმე თვის განმავლობაში გაქრნენ საპნის ბუშტებივით.

იმედ გაცრუებული მოსკოვი ისევ გერმანიას მიუბრუნდა და სცადა ახალი სავაჭრო კრედიტების მიღება. ჩამოვიდნენ ბერლინში სრულ უფლებიანი წარმომადგენლები. ექსპერტები და გაიმართა მოლაპარაკება. სულ ორ სამ კვირაში საბოლოოდ გამოირკვა, რომ პიტლერის გერმანია სულაც არ ფიქრობს ახალი მილიონები უთავაზოს მოსკოვს. მოლაპარაკება უშედეგოდ დასრულდა.

გერმანია არ დასთანხმდა არც ძველი ვალის ვადების გაგრძელებას. ამნაირად მიმდინარე წლის განმავლობაში მოსკოვმა გერმანიას უნდა გადაუხადოს 500-600 მილიონი მარკა.

ნაციათა ლიგის დამხმარე საზოგადოება.

ნაციათა ლიგის დამხმარე საზოგადოებების საზოგადო კონგრესი დანიშნულია ფოლკესგონში ინგლისში 19-24 მაისს 1934 წელს. დღის წესრიგში სხვათა შორის დგას იურიდიული და პოლიტიკური საკითხები.

ამ მუხლის საგანია უმთავრესად საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. კონგრესის პლენარურ კრებისთვის მუდმივ კომისიას წარდგენილი აქვს განსახილველად ის რეზოლიუცია, რომელიც მან ერთხმად მიიღო ბრიუსელის კონგრესზე.

ნიელრგის გაზეით გომენისტურ ბაჭივზე.

«ნიუორკ ჰერალდ-ტრიბუნ» ს მოსკოვიდან ატყობინებენ, რომ—მთავრობას განზრახვა: «თითო ბაჭია თვითეულ რუსის ქოთანში»—გაცრუვდაო.

რადგან დიდი სიძვირეა ხორცისა საბჭოების ქვეყანაში, მთავრობამ გადაწყვიტა შინაური ბაჭიებით შეევესო ეს დანაკლისიო. «რადგან 150 ბაჭია უდრის ერთ ძროხას და პატარა ცხოველები საუცხოვო სისწრაფით მრავლდებიან, ჩვენი შეველა არის მათ მოშენებაში». ვასცეს ბრძანება, რომ დაეარსებიათ «ბაჭიების კუთხე» ყოველ ქარხანასთან, სკოლასთან, კოლექტიურ ბინებთან და სხვაგან. ასე რომ მოხდა ბაჭიათა სრული მობილიზაცია მთელ რუსეთში; ბევრი იყო გამოწერილი საზღვარ გარეთიდან. დაპირდნენ რუსის პროლეტარიატს, რომ აუარებელი ხორცი ექნებოდა 1933 წლის ბოლოსთვისო.

მაგრამ დავიდარება თავიდან დაიწყოვო. ერთ ადგილას იყო გაგზავნილი 400 დედალი და ერთი მამალი; მამალი მალე მოკვდა და ბაჭიებმა ვერ იმრავლესო. მეორე შემთხვევაში 117 ბაჭია იყო გაგზავნილი კიევიდან მოსკოვში, რომლისთვის საჭმელი არ იყო მიცემული და ყველა გზაში დაიხორცნო. საქმე სასამართლოში გაიჩნა და 2 კაცი კატორღაში გაიგზავნაო. საერთო გამოძიებამ გამოამჟღავნა, რომ თითქმის ყველგან ბაჭიები დაიხორცნენ, ზოგი სიბნელებში ყავდათ, ზოგი ნამეტანი უსუფთაოდ და სხვა. ასე რომ ახლა მთელი ვეგმა შეჩურჭული იქნა და დღეს პრესა გაუბრბის სიტყვა «ბაჭია»-ს ხმარებასო.

ქართული დედის ბელი

(ქ-ნ გვილია ინწვირველის სხვინისათვის)

სიო და ცეცილია ინწვირველის ოჯახი, ამ 15-20 წლის წინათ, უბედნიერეს ოჯახთა რიცხვში იყო სოფ. ბახვში (გურია). მას რვა შვილი ამშვენებდა, 6 ვაჟი, ამათგან სამი უკვე მოწიფული თუ მოზრდილი, და 2 ქალი. მარჯვე და მშრომელი ცოლ-ქმარის წყალობით და წამოზრდილი ვაჟების დახმარებით მრავალრიცხოვანი ოჯახი ნივთიერადაც კარგად იყო უზრუნველყოფილი ჩვენი გლეხის პირობაზე. მსოფლიო ომმაცკი, რომელშიაც 2 უფროსი ვაჟი იყო გაწვეული, ვერ შეიტანა მის რიგებში გლოვა და ცრემლი: ორთავე მთელი და ჯანსაღი დაუბრუნდნენ

მშობლიურ კერას და ახლად განთავისუფლებულ სამშობლოს გაწვრთნილ მეომრის გამოცდილება მიართვეს სამსახურად. უფროსი, პლატონი, სათემო ერობის წევრად არჩეული, ადგილობრივ გვარდიას ხელმძღვანელობდა. მიმყოლი, კვიროსი, მჭრინავი რაზმის ერთი გუნდის ხელმძღვანელი, ამ რაზმის ყველა ბრძოლებში მონაწილე, ოჯახს მხოლოდ რაზმის დაშლის შემდეგ დაუბრუნდა. ორ უფროსს მალე გვერდში ამოუდგა მესამე ძმაც, თეოფილე, ჩვენი დამოუკიდებლობის ხანაში წამოზრდილი.

დაიწყო რუსეთის შემოსევა და საქართველოს კეთილდღეობის ნგრევასან ერთად შეინგრა სიო ინწკირველის ოჯახის ბედნიერების კარებიც. ომის დაწყებისთანავე უფროსი ვაჟი, პლატონი, ბრძოლის ველზე გაემგზავრა ბათუმის გვარდიასან ერთად და სახელოვანთა შორის სასახლოთ დასდო თავი სამშობლოსათვის: მტრის ტყვიამ გაუგმირა გული კოჯორის სიმაღლეზე. მეგობრებმა ტფილისში ჩამოასვენეს მისი ცხედარი და საცნობ ადგილას დაასაფლავეს. მშობლების მწუხარებას აორკეცებდა ის გარემოება, რომ აგრეთვე ომში მყოფი მესამე შვილის, თეოფილეს, ამბავი არ იცოდენ; ის მტერს ტყვეთ ჩავარდნოდა. მოახერხა ტყვეობიდან გამომსარვა და ბოლოს შიშველ-ტიტველმა მოაღწია სახლამდი. უნუგეშო დედა ტფილის გაემგზავრა, პლატონის ცხედარი ოჯახის სასაფლაოზე გადმოასვენა. უფროსი ვაჟის დაკარგვა თურმე მხოლოდ დასაწყისი იყო ოჯახის და დედის უბედურებათა. გადარჩენილი მუდმივ დევნის და პატიმრობის მსხვერპლნი გახდენ. ამიერიდან დედ-მამის ხვედრი იყო ციხე ჩეკის კარებზე ცდა და დევნილ შვილთა ბედისთვის შიში და დარდი. ოჯახის მამის, სიო ინწკირველის გულმა ვერ გაუძლო გლოვასა და წუხილს და ეს ბუნებით მტკიცე მოხუცი ერთს წუთში გამოეხალმა ამ სოფელს. თურმე ასე სჯობდა მისთვის: სიკვდილმა ააციონა მას მომავალ უბედურებათა განცდა...

1924 წლის აჯანყების დროს გურიის ერთ ერთი რაზმის მებრძოლეს, კვიროსი სიოს ძე ინწკირველს, ფეხში მძიმეთ დაჭრილს, გამხეცებულმა რუსის ჯარისკაცმა თავი კონდახით გაუჭეჭყა. ჯერ ესეც არ გამოეტირა გაწამებული დედას, რომ მესამე ვაჟმა, თეოფილემ, დამარცხებულ აჯანყებელს დაბრუნებულმა, დახვრეტის ასაცილებლათ, საკუთარი სახლის წინ მაუხერით თავი მოიკლა. სიმწარით გაკაყებული დედა მიცვალებულს სახლში ასვენებს და მიეშურება მეორე დაღუპული შვილის საქებრათ, ურმით მოასვენებს მას სახლში და ორივეს ერთად აბარებს იმ მიწას, რომელიც უკვე კარგა ხანია ჰფარავს მის უფროს ვაჟს და ქმარს... მარა უბედურებას არც ამით დაედო საზღვარი: ოჯახის ბიძამ, ღრმა მიხუცებულმა და მთელი სოფლის მიერ პატივცემულმა ალექსანდრე ინწკირველმა (სიოს ძმა) ვერ აიტანა სანახევროდ მისი გაზრდილი ვაჟაკების ასე უმოწყალოთ დაღუპვა და თავი ჩამოიდრჩო. ხოლო 1928 წ. სიკვდილმა უფროსი ქალიშვილიც მოსტაცა გატანჯულ დედას. კიდევ უფრო ადრე მისი მეოთხე ვაჟი, ვალიკო, წლობით ტყე-ღრეებში მალული, უცხოეთში გადმოიხიზნა და დედამ მისი ხილვის იმედი და-

კარგა. ამიერიდან, ცეცილია ინწკირველის საყვარელი ადგილი სასაფლაოა, საიდანაც მთელს სოფელს ესმის მისი გოდება. სიკვდილმა კიდევ კაი ხანს არ შეიბრალა გაუბედურებული დედა. საბრალოს ჯერ ენა წაერთვა. მისი წამებული გული უხმოდ იფერვლებოდა. მხოლოდ ამ რამდენიმე თვის წინათ განუტევა სული.

რომელი ქართველი არ მოიხრის მოწიწებით ქედს ამ ქართველი დედის ტანჯვა-ვაების წინაშე! მას და მის ოჯახს წილად ხვდათ მოწამებრივი ხვედრი— განესახიერებიათ თავის ბედში «ბედი ქართლისა».

ღ.

მ ო ვ ო დ ე ბ ა

პარიზის ქართული კოლონიის ახალგაზდობა ხელიდან გვეცლება. ეკონომიურმა კრიზისმა ისედაც ცუდ პირობებში მყოფი შათი ბედი კიდევ უფრო გაამწარა. ზოგი ვერ უძლებს მორალურ დეპრესიას და თავს იკლავს, ზოგიც, თუ სულიერ სიმაგრეს იჩენს, ფიზიკურ სისუსტეს ვერ უძლებს და ხდება მსხვერპლი ქლექის თუ სხვა ავთომყოფობის. გულზე ხელებ დაკრეფილი ასეთი მდგომარეობის ყურება დიდი დანაშაული იქნება ჩვენი ერის წინაშე. ამ ხუთი თვის განმავლობაში დავასაფლავეთ უკვე 9 კაცი.

ყველა ქართველის უწმინდესი ვალია დაუყოვნებლივ მიეშველოს ჩვეს ახალგაზდობას, ჩვენი ქარის მომავალს. ჩემი უმორჩილესი თხოვნაა ყველა ქართველისადმი, ვისაც რამე კი გაჩანია სისტემატიურად, ყოველ თვიურად მოაწოდონ თავის წვლილი ახალგაზდობა დამხმარე სექციას.

ქართული ოფისის დირექტორი
ხ. ახათიანი.

P. S. დახმარება უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M^c A B K A Z I

15, rue Bréa, Paris (6^e)

აღნიშნული უნდა იქნეს, რომ დახმარება იგზავნება ახალგაზდობა სექციისათვის.

მ ი ვ ა შ ვ ე ლ ო თ ი

მე უკვე რამოდენიმე ხანია პარიზზე შორს ვარ და ქართველობის ცხოვრებას ვიცნობ ჩვენი პრესის ან მეგობრების წერილების საშუალებით. დღეს ერთი მეგობრის წერილმა გულშემწარავი ამბავი მაცნობდა: «ამ უკანასკნელ დროს—ვიტახულობ შიგ—მეტათ გახშირდა სიკვდილი, უმთავრესათ ახალგაზრდებში; 5 თვის განმავლობაში დავასაფლავეთ 9 კაცი! ზოგი მორალურ დეპრესიას ვერ უძლებს, და თავს იკლავს, ზოგიც გლახა პირობებში მყოფი ქლექით თუ სხვა ავთომყოფობით გვეღუპება». ეს ამბავი ძლიერ დამაფიქრებელია და ვისაც კი ქართველი ერქმის, მას გვერდს გულცივით ვერ აუხვევს. 9 კაცის

დალუპვა ხუთი თვის განმავლობაში ჩვენს წრეში—
ეს ძლიერ დიდი პროპორციაა და სრულიად არანორ-
მალური.

ამ დიდ უბედურებისათვის უკვე მიუქცევია ყუ-
რადლება ტუბერკულოზით დაავადებულთა დამხმარე
კომიტეტს და დაუარსებია ცალკე სექცია, რომლის მიზანს
შეადგენს დახმარება აღმოუჩინოს ჩვენს ახალგაზ-
დას, დახმარება მორალური და ნი-
ვითური არა მარტო ავაომყოფთ, არამედ გაჭირვება-
ში ჩავარდნილ ყველა ახალგაზდას. კერძო პირი,
თვითული ჩვენთაგანი ცალ ცალკე ვერ შესძლებს
იმის გაკეთებას, რასაც შესძლებს შეერთებული მე-
დიანობა. ყველა ქართველის სამხეთო მოვალეო-
ბაა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ახლად და-
არსებულ სექციას და ხელი შეუწყოს მის მუშაობას
სისტემატიურად თავის წვლილის მიწოდებით.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველას შეუძლია
ცოტა რამ და ამ ცოტა რამიდან მოსალოდნელია
შედგეს «დიდი რამე» თუ არა, მაინც «რამე», რაც
რამოდენიმე შევიწროვებულ ქართველ ახალგაზდას
სიცოცხლეს შეუნარჩუნებს.

შენ კი ჩემო თანამემამულე და—განსაკუთრე-
ბით—ახალგაზდავ, ნუ კარგავ იმედს, გამაგრდი, გა-
მოიჩინე მორალური გამძლეობა და სასოწარკვეთი-
ლებას ნუ მიეცემი. გიმველით როგორც შეგვეძლება,
მოგვეფერებით, გავატობთ საქმით და თანაგრძნო-
ბით სანამ არ აღმობრწყინებულა ჩვენი მზე, მზე თა-
ვისუფალ საქართველოსი!..

ანტონ ქორჭელიანი.

P. S. აქვე შემომამქვს (ვგზავნი ს. ასათიანის სახე-
ლზე) ჩემი წვლილი: 50 ფრ. ერთდროულად და თვი-
ურად გადავიხდი 20 ფრანკს. ა. უ.

მის. ბელანიშვილი

8 მარტს, პარიზში ნეკერის საავადმყოფოში გა-
რდაიცვალა მხატვარი მიხეილ ბელანიშვილი, გან-
სვენებული იმ ახალგაზდათა ჯგუფს ეკუთვნოდა,
რომელთაგან საქართველო მომავალში ბევრს მოე-
ლის. ნიჭიერი მხატვარი, ერთგული მუშაკი ქარ-
თული საქმისა; საშუალო სასწავლებლის დამთავრე-
ბის შემდეგ იგი ასრულებს სამხატვრო აკადემიას.
პრ. გ. გაბაშვილის კლასში.

ემიგრანტულმა გაჭირვებამ და ცხოვრებამ მას
მალე დადი დაასვა. იგი დასნეულდა ტუბერკულო-
ზით. ტუბერკ. დაავადმყოფებულთა დამხმარე კო-
მიტეტმა ყოველგვარი ზომები მიიღო, გავზავნა სა-
ნატორიუმშიც, შემდეგ აქ საავადმყოფოში დააწვი-
ნა და განუწყვეტლივ ზრუნავდა მასზე, მაგრამ ულ-
ომბელ სიკვდილს ხელიდან ვერ გამოგლიჯა.

დაკრძალვა მოხდა 11 მარტს, ტიეს სასაფლაო-
ზე. მიუხედავად საშინელი ამინდისა დაკრძალვას
ხალხი ბლომად დაესწრო: იყვნენ მთავრობის წევ-
რები, ოფისის წევრები, ტუბერკულოზის საზოგა-

დობის წევრები, კოლონიის გამგეობის წევრები,
აგრეთვე მხატვრები და ხელოვნები განსვენებულის
ამხანაგები.

განსვენებული დაიბადა 1901 წელს ტფილისში,
მისი მამა იყო ქართული ჯარის ლენერალი.

გრიგოლ კობახიძე

17 თებერვალს, ბოჟონის საავადმყოფოში გარ-
დაიცვალა ჩვენი თანამემამულე გრიგოლ კობახიძე.
განსვენებული 32 წლის ახალგაზდა იყო. სწავლობდა
ტფილისის უნივერსიტეტში. საქართველოდან წამო-
ვიდა 1924 წელს და აქ მუშაობდა ქარხნებში.

განსვენებულს დარჩა ახალგაზდა ქვრივი ორი
ოთხო ბავშვით.

ბიჭიკო ჟღენტი

12 თებერვალს, ბიანკურის საავადმყოფოში ფი-
ლტვების ჯღენით გარდაიცვალა ჩვენი ახალგაზდა
თანამემამულე ბიჭიკო ჟღენტი. განსვენებული 30
წლის იყო. წყნარი და პატიოსანი მუშაკი, ამხანა-
გების საყვარელი და პატივსაცემი. განსვენებული
დაკრძალულ იქნა ბიანკურის სასაფლაოზე. დაკრძა-
ლვას დაესწრო კოლონიის წევრთა უმრავლესობა.

იოსებ კოსტავა

ამა წლის 17 იანვარს, ტუნისში გარდაიცვალა
ჩვენი თანამემამულე ქუთაისის მცხოვრები იოსებ
კოსტავა, რომელიც მსახურებდა ფერშლად ადგი-
ლობრივ საავადმყოფოში.

წამილი ჩაღატციის მიხარო

პატივცემულ რედაქტორ!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვე-
ნი გაზეთის მახლობელ ნომერში ამ პატარა განცხა-
ლებას:

1925 წელში მივიღე საბჭოთა მოქალაქეობა, მაგ-
რამ არც ჩემი შეხედულებებით და არც გრძნობებით
საქართველოს გამაუბედურებლბებთან არაფერი სა-
ერთო არა მქონდა, და ჩემი დამოკიდებულება მათ-
თან იყო ყოველთვის ოფიციალური; ესლა მათთან
ამგვარი დამოკიდებულებაც შევწყვიტე და ვუბრუ-
ნდები (ფაქტიურად ეს დიდი ხანია მოხდა) ემიგრან-
ტულ ეროვნულ წრეს, რომლის მისწრაფებებს და
მიზნებს მუდამ ჩემათ ვთვლიდი.

გულითადი ქართული სალაშქო
მიღე იმნაიშვილი.

ბერლინი. 1934 წელი, 11 მარტი.